

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
იმ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

---

მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IV



ს. ბაღვაში

სამსოვრეული ნაგებობანი ქართული ხალხური  
პოეზიის ნაგებობანი მასალების მიხედვით

39(05) | მასობრივი  
ა-621

საქართველოს ენციკლოპედია  
- მისი დასრულება ... 1956წ.  
141169 2021 შა.

		რ6297
21/11/2021		
25/11/2021	1400	

დააბრუნეთ წიგნი დროზე  
Возвратите книгу во время

---

39(05)

2-621

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი


მასაღები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IV

ს. ბელუაძე

საქართველი ნაგებობანი ქართული ხალხური  
კოეზიის ნაგებლი მასაღების მიხედვით

P6297

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
თბილისი



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

---

Материалы по этнографии Грузии IV

С. Н. Бедукадзе

ЖИЛЫЕ ПОСТРОЙКИ ПО ПЕЧАТНЫМ МАТЕРИАЛАМ  
ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ПОЭЗИИ

---

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ТБИЛИСИ

1950



შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . . . .	83-1
1. შენობა და მშენებელი . . . . .	3
2. მშენებლობის იარაღი და საზომი ერთეულები . . . . .	5
3. სააღმშენებლო მასალა და აგების ხერხები . . . . .	9
4. სახლ-კარის აღნაგობა . . . . .	16
5. საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი . . . . .	33
ტერმინთა საქიებელი . . . . .	48
შემოკლებათა განმარტება . . . . .	53

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ნაწილი არის იმ სამუშაოსი, რომელსაც ვასრულებდით 1939 წლიდან შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში თანამშრომლობის დროს, განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით. ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი წყაროებიდან ამოკრეფილი იქნა: საცხოვრებელი, სამხედრო, სამეურნეო და საკულტო ნაგებობათა შესახებ არსებული მასალა. პოეზია, როგორც უფრო გამძლე და ძველი ფორმების შემომნახავი, ძირითად წყაროდაა მიჩნეული, ხოლო ზოგიერთი დამატებითი მასალა ხალხური ზღაპრებიდანაცაა მოშველებული.

მოპოვებული მასალის თემატური დამუშავების მიზანია მკვლევარისათვის ხელმისაწვდომად დალაგდეს ქართულ ხალხურ პოეზიაში გაბნეული ნაგებობათა და მათი ნაწილების შესატყვისი სახელწოდებანი, რომ ამ ტერხით ადვილი გახდეს სხვა ხასიათის წყაროებთან მათი შედარება.

ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით მოიცავს ცნობებს: საცხოვრებელი, სამხედრო, საკულტო და სამეურნეო ხასიათის შენობების შესახებ, რომელთაგან ამჟამად ერთი ნაწილია წარმოდგენილი.

ნაშრომი საბოლოოდ გაფორმდა 1941 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, პროფ. გ. ჩიტაიას უშუალო ხელმძღვანელობით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

## 1. შენობა და მშენებელი

ხალხური პოეზიის ნაბეჭდ მასალებში ნაგებობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი არის **შენობა, ნაშენობა, ან ნაგები**. შენობა არის ყოველგვარი ნაგებობა: ციხე, კოშკი, სახლი თუ სხვა. მაგ., საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ამირანის ლექსში ნათქვამია:

იქ ერთი შენობა მოჩნდა ციხე იყო სალი ქვისა.

(უმიგ. 6.5)

ასევე ზღაპარშიც: „მგელი შევიდა ერთ დანგრეულ შენობაში“ (ჩიქ. 31), ამავე გავებით იხმარება ნაშენობა 1872 წელს ქართლში ჩაწერილ ლექსში:

ამ დროს იმიტომ ჩაესცივიდით, თითონ უიღდა შამა შეილსა,

ნაშენობაც დანგრეეს პირველ თამარ-დედოფლისა

(უშ. 141.219)

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ნ ა გ ე ბ ი —ხევისურულში.

შუალამის დროს იძახეს: „ჩუთას ღეეცნეს ზნთაო“.

ნაგები ქურსიკაისა ცეცხლის მოივლებს აღსაო.

(შან. 72.175, 4—5)

შენობის აგებისათვის საგანგებო დახელოვნებაა საჭირო. არსებობს ა გ ე ბ ი ს კ ე ლ ი<sup>1</sup>. მაგ., საკვირველი კ ე ლ ი თ ყოფილა აგებული შურის ციხე, რომლის შესახებ ლექსში ამგვარადაა თქმული:

იტყვიან: წინად ბერძენთა ჯელ სქონდა საკვირელია,

რო მასსრულეს ციხეი, კარი შახბეს ზგელია.

(შან. 222.541, 13—14)

ამავე ლექსის „დ“ ვარიანტში ნათქვამია:

ვისაგან აგებულიყო, ანდრუხ არ არი ძველია,

ვგანებ ბერძენბული სქვიან, ჯელ სქონდა საკვირველია.

(შან. 574.541. დ. 3—4)

საინტერესოა, რომ მოხვედრულ ლექსშიც **ნ ბ ე რ ძ ნ ის ჩ ა ქ უ ჩ ი** იხსენება.

ზაით სახლს ქოთანს გიღვას, ტყევი სურია ვერძისა,

ქოითაც გავიყინულდა, ჩაქუჩი უნდა ბერძნისა.

(გომ. 81)

შენობა არის მ ძ ი მ ე დ ნ ა გ ე ბ ი, ან **ლ ა მ ა ზ ნ ა გ ე ბ ი**. ქართლში ამბობენ:

<sup>1</sup> ერთი ხევისურული ლექსის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ჯელი და ერთი ჯელის კარგი მცოდნე მეორე ჯელისათვის შესაძლოა სრულიად უძლური აღმოჩნდეს, მაგ.:

ფანდურის ჯელ ვერ გავიგო, როგორ გვემართებისა.

წისქვილს ატრე გავიშარებთ, ქექა-ქუხილ უღებებისა.

(შან. 277.680, 1—2)

კოშკი სარ მარმარილოსი, მძიმეთ ნაგები კირითა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 124.804)

ხოლო თუშნი იტყვიან:

საგირთას ცინეს აგებენ, ცინესა აღმასისხო,

აგაშენებენ ხურონი დამაზნავებო ქვისხო.

(სალხ. პოეზია, 160)

ამათიმი ხელის მცოდნეს ხ ე ლ ო ს ა ნ ი ეწოდება. „დიდებულო ხელმწიფევე, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან აგიშენო სახლი“-ო (ჩიქ. 227). ხელოსნის პარალელურად გვხვდება მოსაქმელი. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში ასე ვგვაქვს:

ქვანგრელს არიან ბიჭები მოსაქმელი ნავისხო,

(ძვ. საქ. III. განუ. II. 38.151)

ტერმინი ხურო საქართველოს ყველა კუთხის მასალაში გვხვდება, მაგრამ სხვადასხვაგვარებით. უმეტეს შემთხვევაში ხურო ხეზე მომუშავე ხელოსანის სახელწოდებაა. მაგ., ქართლში ასეთი ლექსი გვხვდება:

დავიბარებ ხუროებსა, კიღობანს შევკვრევირებ,

შიგ ჩავსვამ ლერწამ-ღარეჯანს, წყალს მივცემ, წავაღებინებ.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 186.1242)

ხოლო მესხეთში:

თვალი დაუდგეს ხუროსა

დაქედეს და არახუნოსა,

(ძვ. საქ. III. განუ. II. 272. თ, 3)

გურულ ფოლკლორში წარმოდგენილი უსტა ხუროც ხის დასამუშავებელ იარაღებს ხმარობს:

არშიყობაში მგვონა ვიფავი უსტა ხუროვო,

მარა შენთან შემომატყტა სერსი, ცული და უროვო.

(ლლ. 29.58)

ქიზიყის სოფ. ვაქირში ჩაწერილ ზღაპარში ხუროქ-დურგალი იხსენება: „დაიბარა კაცმა ხურო-დურგლები და დაიწყო ახალი სახლის აშენება: როდესაც შუაზედ დედაბოდს აკეთებდნენ, ქალმა მამის უჩუმრა ფული მისცა დურგლებს და უთხრა: „ამ დედა-ბოდში კარები გაუკეთეთ“-ო. (ძვ. საქ. IV. განუ. IV-76). იქვე ჩაწერილ მეორე ზღაპარში სამი ტერმინია ერთი საქმიანობის შესასრულებლად გამოყენებული: „იქირავა ხურო, დურგლები, იყიდა ხის მასალა და მოიტანა, დააყენა ოსტატები და გააკეთებინა კიბე იმ ქალის სახლამდი“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 64).

ხეცსურეთსა და თუშეთში ხურო ქვის ნაგებობის მშენებელი ახეცსური ამბობს:

სასღონ მიდგან ხუროს ნაგები, კუთხს არ დაგლიჯნათ ქვანია

(შან. 303. 2. თ, 15)

ანდა



„გამოსწრნავდი შატილსა, გაქვ ატაყიან ბანია,  
გამაუშლავის ჟორი, ზუროდ კირილე სყვანია.

(შან. 270.668,3—4)

ასევე თუშეთშიც საგირთას ქვის ციხეს „ხურონი“ აშენებენ (ტექსტი იხ. ზემოთ). ზოგან ქვით ხურობას კალატოზები აწარმოებენ, რაც კარგად ჩანს კ. მაღალაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ გადმოცემაში თამარ-მეფის შესახებ: „კალატოზებმა მოახსენეს... მონასტრისათვის დამზადებულ ქვას კირხ-ლი მოჰკიდებია, ველარ ვწევთო“ (ძვ. საქ. II. განუ. IV. 47.). ხურო და კალატოზი ერთერთს უპირისპირდებიან საქმიანობით ზემოთ მოყვანილი ზღაპრის ტექსტის მიხედვით: „მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი და არც სხვა რამ ხელოსანი“-ო. ამათუიმ ხელის საუკეთესო მცოდნეს ოსტატ იწოდება. მაგ., მცხეთის ტაძრის მშენებელს მასზე უფროსი ოსტატი ჰყოლია. ლექსის ზემოიშვრულ ვარიანტში ვკითხულობთ:

ცნეთა ისე ავაშენე: არცა ტკვარი, არც არაგვი ცვარი არ ამაშილია,  
ოსტატმა მარჯვენა მამჭრა, კარქი რისთვის აგიგია.

(ძვ. საქ. I. განუ. IV. 65. 17).

ქართლური ლექსის მიხედვით სანეფო კაბას ოსტატები ჰკერავენ:

სამნი ოსტატი დაესხედით, თურქი, აფხაზი და შესხი,  
სანეფო კაბას ვკერავდით.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 6.28)

## 2. მშენებლობის იარაღები და საზომი ერთეულები

ხალხური პოეზია მშენებლობაში გამოყენებული იარაღების შესახებაც გვაწვდის ცნობებს. ხევესური გვიამბობს, რომ ციხის აგების დროს ქაჩალი და ქვის სამტვრევი კვერი ყოფილა ზმარებული:

ამ ციხის აგებაშია მუნდა ოცი წელია,  
ორმოც მონუნდა ქაჩალი, სამოც—ქვის სამტვრევ კვერი.

(შან. 222,541, 11—12)

ქართლში კი სანგრეველი რკინის კეტია მოხსენებული:

გააკეთა რკინის კეტი ჯოჯოხეთის სანგრეველი,  
ათი კუთხე დაანგრია, შეთერთმეტეს მიჰყო პელი.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 23.103)

წერაქვი მიწის და ქვის სათხრელი იარაღია. ხეში ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

ცნრგან უთხრიან საფლავსა, წერაქვს ამტვრევნ ქვაზედა.

(უმ. 160.240)

მიწის სათხრელია აგრეთვე ბარი და ნიჩაბიც. კახეთში ამბობენ:

მათხუე ბარი-ნიჩაბი, სამარე ამოვითხარო,

ანდა

(უმ. 316,777)

ავილებ ბარსა ნიჩაბსა, გადვისვეტ ქვასა ქვიშასა

(უმ. 158.238)

კურული ფოლკლორის მიხედვით ხუროს იარაღებია: სატეხი და ხერხი.

სურომ სასლი ავიშენა სატენმა და ვორმა სერნმა.

(ლლ. 31.64)

ხოლო ზემოთ მოყვანილ ტექსტში ხუროს ხერხი, ცული და ურო აქვს-ერთ ქართულ ზღაპარში ხუროს იარაღები უფრო სრულადაა ჩამოთვლილი: „მიშოვეთ ხუროს იარაღები რაც რამ არისო, ხელმწიფემ უშოვა... აილო ხელში ხერხი, ეჩო, ხუსტარა, საწარბელა, შალაშინი დასხვა და ვაჰაჰია“.

(სიხ. 159)

სათლელი იარაღის სახელწოდება უნდა იყოს მესხეთში ჩაწერილ ლექსში დაცული ტერმინი—ქასრი<sup>1</sup>.

შენ ვაჟო გღმა უზნელო, თერთად გათლილო ქასრითა.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 260, III)

ცულის სხვადასხვა სახეობანიც იხსენება ლექსებში. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ფრანგულ ცულზე ამბობენ:

ფრანგული ცული გავტეხე იმის ფელის ჭრაყდაო.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 146, 993)

ხოლო ხევესურეთში ცულ-აფთარი სცოდნიათ:

მივიდა, კენსით გააღა კარი ოჯახის მცავია.

გამაუარდა ცულ-აფთრით ქალი ეფსივით ავია.

(შან. 341.42.04, 41—42)

ხევესურეთშივე იხსენება წალდიც:

ილღიაში წალდი მწრავის ქარაშხაის სტვირივითა.

ფიჩხის კონამ ზურგ მამღვრა ჩალანდრების ვირივითა.

(შან. 286, 726, 3—4)

1584 წ. ჩაწერილ ერთ-ერთ ხევესურულ ლექსში წალდისა და ცულის ფასებიცაა აღნიშნული:

შენმა მზემ მემცესვარიშვილო, თამაზსან დაგემღერები,

აზაზად წალდი განაღე, ოროლ აზაზად ცულები.

(უმ. 188, 307)

მესხეთში ჩაწერილ ანდაზაში ცულის ტარის დაგების პროცესიც გვაქვს გადმოცემული: „ცულს ტარი შიგნითგან დაეგებაო“ (ქვ. საქ. III. განუ. II. 287 ც.).

კვერის შესახებ ლექსი გვეუბნება, რომ არსებობს რკინის კვერი, მაგ., ხევესური ამბობს:

სასლის-კაცი მუჟე ეგეთი, მაგარ რო რკინის კვერია.

(შან. 244, 597, 13)

ხოლო სხვა ლექსში დიდი კვერი იხსენება:

დაიზარეს ი მჭედელი, ხელთ ეჭირა დიდი კვერი.

(უმ. 152, 232)

უროს შესახებ კი ქართლურ ლექსშია ნათქვამი:

<sup>1</sup> ქასრი ქვის სათლელი იარაღის სახელწოდება უნდა იყოს, საბა ორბელიანი ს განმარტებით ქასრი—ქვის დანაკს ნიშნავს (ლექსიკ.).

ერთი ხელი მარწყვისა, ერთი ურო საცემელი.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 23.103)

ამავე რიგის იარაღებს უნდა ეკუთვნოდეს „ბერძნის ჩაქუჩი“, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

სააბო იარაღად ცულის გარდა არის პალო და სოლი, ცულის შესახებ მესხეთში ჩაწერილ ლექსში ასე გვხვდება:

იმ ღღეს ცული გეღვა მსარჴედ, შეშა ვერ დაგაბოინე.

(უმ. 312.739)

ანდა ზემოიმერულ ზღაპარში: „სამივე ძმა წვევიდა მთაში შეშის მოსაპრელად თავის საგძლით და დაღესილი ცულებით. მივიდენ მთაში. წააქციეს უშველებელი მუხა და დოუწყეს პობა“-ო. (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 26)

პალო გურულ ფოლკლორში შეგვხვდა: „დაქრა დიაკონმა უშველებელ ქორთუხს ცული და ჩადვა შით პალო“-ო. (დლ. 190), ხოლო ხევში ჩაწერილ ლექსში სოლია ნახსენები:

მცდარ სიტყვას მაინც არ ვიტყვი თავი რო დამგრან სოლები.

(უმ. 21.14)

მესხეთის სოფ. ხიზაბავრაში ჩაწერილ ლექსში იხსენება ქვა-ცხრილი და ცხავი, მაგ.:

თხის ტყავი მოხსმარება ქვა-ცხრილადა და ცხავადა

(უმ. 313.749),

რომელთა მშენებლობასთან კავშირი ლექსიდან არ ჩანს, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია ამ ადგილის მოტანა, რადგან სხვა შესაფერ ტექსტში მათი სახელწოდება არ შემხვედრია.

ხელოსნის იარაღებია აგრეთვე ლარი, შიმში და ფარგალი. ლარი იხსენება ნაგებობასთან დაკავშირებით. ლარში ნაკეთები ნაგებობა სანაქებოა. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

თორმეტი ოთახი არის სულ ნაკეთები ლარშია.

(უმ. 148.225)

ლექსში იხსენება აგრეთვე შიმში:

მკლავები შიმშის მიფიგავ,

გულ-მკერდით დახატული სარ!

(ძვ. საქ. III. განყ. II. 219.128)

ფარგალი ხეესურულ ლექსში გვხვდება:

ჩემ მშობილისას ამბობენ: კახეთს მთავლო ფარგალი,

კახის სახესვე აულავ ვენაქში გამოსატანი.

(შან. 262.645, 1—2)

ხეესურეთშივე გვაქვს ფარგლიდან ნაწარმოები სიტყვა მოფარგლა:

ერთგან მოფარგლეს საფლავი თორმეტის აფიცრისაო.

(შან. 191.475,28)

საზომი ერთეულებისა და გაზომვის საშუალებათა ირგვლივ ხალხური პოეზია მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა, ამიტომ აქ მოყვანილია სიგრძისა თუ სი-

მძიმის ყველა ერთეული, რომელიც კი შეგვხვდა მასალებში, მიუხედავად იმისა იხსენებებიან თუ არა ისინი ნაგებობასთან დაკავშირებით.

სიგრძის საზომი ერთეულებია: მ ტ კ ა ვ ე ლ ი, წყ და, ა დ ლ ი. ზომავენ: ს ა ბ ე ლ ი თ, ჯ ო ხ ი თ. საწონი ან საწყაო: კ ო ლ დ ი, პ ი ნ ა, ფ უ თ ი, ჩ ა რ ე ქ ი, ს ტ ი ლ ი, ო ყ ა, მ ი ს ხ ა ლ ი.

მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუგდეს,  
გატეხა და გადააგლო, „ფუ გამჭედი გაუწედეს“!  
შინდის ჯოხი გამოუქრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა,  
შვიდი მტკაელით გაუზომა, მისხალი არ დააგდესა.  
(უმ. 24.15)

ადლი იხსენება სხვა ლექსებშიც. მაგ.:

მუცელი აზნაურისა ადლი და ნახვარია.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 85.437)

ან

წაველ და ტყეში გათალე სამოცი ადლი ღარია.

(უმ. 251.461)

წყდა ზემოიშვრულ ზღაპარში გვაქეს. ხელმწიფე „აგზავნის ქეასანაყს და ითვლენენბა ამაზე ამოჭერით ათასი წყდა თასმა და გამომიგზავნეთო“ (ძვ. საქ. I. განუ. IV. 2.7).

კირს ფუთობით ანგარიშობენ, მაგ., „გაქარმა უთხრა ნაძვიას, ელანძე საკირეში ჩვირბინე და გააგებე რომ ხვალისა ერთი ოცი ფუთი კირი დაწუ-  
ანო“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 53). კოდი კახეთში და ხევში ჩაწერილ ლექსებში შეგვხვდა. მაგ.:

ერთი კოდი ქერი მამცეს ისიც ჯორმა შემიჭამა.

(უმ. 203.346)

ან

იმან რომ ცნენი მამეილა ქეციანი და ტიტველი,

ცხრა კოდი ქერი შეჭამა არ შამარჩინა ბზის მტვერი.

(უმ. 240.445)

პინა ხევში ჩაწერილ ლექსში არის მოხსენებული.

მეტხორე რო შეჩვივა, ყველი უზიდა პინითა.

(უმ. 180.293)

ხოლო ჩარექი და სტილი ქართლურ ლექსში:

სტირმა ტალასი აიკრა ჩარექი და ორი სტილი.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 55.259)

ვოყა იხსენება გურულ ფოლკლორში: „დაღამდებოდა და ააყუდებდა სამ ვოყიან თოხს ჯარგვალის ღოჯესთან“ (ლლ. 275) მისხალი კი არსენას ლექსის მიხედვით უმცირესი ზომის აღმნიშვნელი ტერმინია (ტექსტი იხ. ზემოთ.) ხევსურეთში გავრავდა საბელით სკოდნიათ. ლექსში არის ნათქვამი:

წამაიტანეს საბელი, ზომენ ნეთსინოს ქალასა

(შან. 158. 402,9)



## 3. საბაღმონოგლო მასხალა და ამბების ხმარება

მასალის მიხედვით შენობა შეიძლება იყოს ქვისა ან კლდისა, მარმარილოსი, აგურისა ან ალაგურისა, ალიზისა, მიწური, ძელი-სა, წნულისა ან ფანჯატი.

ქვისა ციხის შენობა ხევსურეთში, მაგ.:

იგვლიეთ, ატაბიონო, ციხე დაგექვათ ქვისაო.

(შან. 212,521,9)

კლდის სახლი და ალაგურის წალკოტი ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენება:

ჭაჭკარს ვნახე სახლი კლდისა და წალკოტი ალაგურის.

(უმ. 345.1009)

ქვას ხმარობენ შენობის საძირკვლისა, კედლებისა და ხშირად სახურავი-სათვისაც. მაგ., კახეთში ისეთ ნაგებობას, რომლის „საძირკველი ქვაში“ არაა გამოცანად სახავენ:

თორმეტი ოთახი არის სულ ნაკეთები ღარშია,

არც წყა, არცა ფიჯარი, არც საძირკველი ქვაშია.

(უმ. 148,225)

და ამგვარ ნაგებობას სამოთხეს უწოდებენ, ხოლო ვერხოვანის ციხეს არა თუ კედლები აქვს ქვის, თავზედაც სიბი აქვს გადახურული:

ვერხოვანს წვრილო ციხეო, ქვაი ვინ გაწყო ქვაზედა,

ექვს ოთახზედა ავაგეს, სიბი დაგხურეს თავზედა.

(ძვ. საქ. II. განყ. V. ნ. 2.77. თუშეთი)

ქვის ჯიშები ხალხურ პოეზიაში საკმაო ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. იხსენება სალი ქვა. ამირანის ლექსში, რომლის ჩანაწერებიც უმთავრესად ხევიდან და ხევსურეთიდან არის, ასეთი ადგილი გვაქვს:

იქ ერთი შენობა მოჩნდა ციხე იყო სალი ქვისა.

(უმ. 6.5)

ხევსურულ ლექსში ხშირად გვხვდება ბასრის ქვა. ნაგებობისა თუ სხვაგვარი გამოყენებით, მაგ.:

ზენ-უბან დაგიჯახნებდი ნაგებსა ბასრის ქვისსა.

(შან. 51.134,18) და სხვ.

გვხვდება აგრეთვე მარილის ქვა თუშურ ხალხურ პოეზიაში:

გაღმალის მარილის ქვაი, ციხის კარს უფრავს მკვდარიო.

(ძვ. საქ. II განყ. V. 29.50),

რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს მარილაის ქვა ხევსურულში, მაგ.:

ბორბალ აგებენ ციხესა, რო მარილაის ქვისსა.

(შან. 62,157,1)

ხოლო ამავე ლექსის სხვა ვარიანტში ბროლ-მარილაის ქვაა ნახსენები (შან. 425,157 ბ, 2).

ბროლი და ალმასი ფანტასტიური ნაგებობისა და ლამაზი შედარებების დროსა უფრო მეტად გამოყენებული. მაგ.:

წაიყვანა და იქ დასვა სად ბროლის ციხე ცამდეთა.

(უმ. 157.238)

ან და

ალმასის ფანჯარაშია ქალ დაგინანე პირი მე.

(უმ. 318.795)

იხსენება მარმარილოც, მაგ., ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ფშავეურ ხალხურ ლექსში გვაქვს:

ლამაზს სასწაღეს აგიგებ სუ მარმარილოს ქვისასა.

(ძვ. საქ. II. განუ. IV. 312)

ანდა ქართლში ჩაწერილ ლექსის შემდეგ სტრიქონში:

კოშკი სარ მარმარილოსი, მძიმეთ ნაგებო კირითა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 124.804)

ხოხი ქვით თუშეთში ციხე ყოფილა ნაგებო, მაგ.:

წაროს თავს, გიგის ციხეთა, ნაგებო სოხი ქვისაო.

(ძვ. საქ. II. განუ. V. 10.27)

ხეცურებმაც იციან ეს ტერმინი:

ბევრა ვაჟია შატილსა, გულ უძე სოხის ქვისაო.

(შან. 204.513,8)

თუშურში იხსენება გოხიც, მაგრამ ეს სალესი ქვის ჯიშის სახელწოდება უნდა იყოს, რაც შემდეგი ლექსიდან ჩანს:

გოხ-გავლებული ფრანგული კაპას-რა კარგად ჭჭრისაო.

(ძვ. საქ. II განუ. V. 13.30).

ქვის სახელწოდება უნდა იყოს ხეცურულ პოეზიაში ნახსენები ქარაფი:

დაღმარსეს წვერის ძირშია, წყე ქარაფს დასცემდიანა.

(შან. 86.206, 16)

ლოდი იხსენება ქართლში.

რომ გავიარე კარები მაშინ დამიღვა თვალები,

დამეცა ლოდის ნაპობი, დამემტვრა მხარი, მკლავები.

(ძვ. საქ. III. განუ. II: 159.1029)

ხოლო ბალავერის შესახებ გურულ ხალხურ პოეზიაში ნათქვამია:

სამა ძმამა ბალაძემა ჩვენ გავაგდე ბლავერი,

თუ თორმეტი ჩამეიდევს ის იქნება ფალანდი.

(ლ. 26.47)

იხსენება ლექსებში აგრეთვე ნარიყი (ძვ. საქ. III. განუ. II. 154.1038 ქართლი)

რიყის ღორღი (შან. 117.264,3), ქვა წვრილი (უმ. 347. 1027 მესხეთი)

და სხვ.

ხალხური პოეზიის ჩემს ხელთ არსებულ მასალებში იხსენება ალიზისა და აგურის შენობებიც. მაგ., ქართლელი ამბობს:

გომელებო, თქვე პლუტეზო,

სასლი გეღათ ალიზისა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 88.465)

ხოლო აღვანში ქვიტკირის და აგურის ციხე აუგიათ.

აღვანში ციხეს აგებენ ქვიტკირის აგურისაო.

(შან. 329.28, დ, 15)

აღაგური ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენიება როგორც საშენი მასალა (ტექსტი იხ. ზემოთ) და აქვე იხმარება კრამიტიც.

ქალაქის აბანოები ფასია სმელეთისაო!

შიგ წყარო ამაიფავნეს ის არის კრამიტისაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 90.478).

ნაგებობისათვის საკუთრივ მიწაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. მოხვეუარი ლექსი ამბობს:

საწულო კაცის ცხოვრებას რათ უნდა ბევრი სრიალი,

ერთი ქოხი მიწური და ერთი კოკა წყლიანი.

(გომ. 72)

ხის მასალაც ისევე ფართოდ ჩანს გამოყენებული ნაგებობათა მშენებლობაში, როგორც ქვა, ილონდ განსხვავებაა მისი გავრცელების არეში. მაგ., თუ ხეესურულ და თუშურ პოეზიაში ქვის ნაგებობათა შესახებ არის მუდამ საუბარი, დასავლეთ საქართველოს ფოლკლორში მოხსენებული თითქმის ყველა შემობა სულ ხით ჩანს ნაკეთები, დანარჩენ ზოლში ყველა სახის მასალა ნაგებობისათვის გამოყენებული.

ხის მასალით მთლიან სასახლეს არის აშენებული. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

სასახლე იორამისა ნათალი წმინდა ხეაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 214.81)

ზემო იმერეთში ჩაწერილ ლექსში ხის კოშკი გვხვდება (ძვ. საქ. I განყ. IV. 61.8), მესხეთში გაღავანი (უმ. 95.142). ქართლში ხის ქოხები (ძვ. საქ. III. განყ. II. 2094) და სხვ.

ბ-ე იწოდება ნაგებობისათვის დამზადებული მასალა ხეესურულში, მაგ.: ბევრა ხეებ ჩამოფუარე ქვიტკირისად ნაჭარია.

(შან. 277.682,2)

დას. საქართველოს ფოლკლორში ძელი იხმარება. გურიაში ამბობენ:

ელისავო მელისავო, სახლი დავდი ქელისავო.

(დლ. 30.61)

ხოლო ზემოიმერულ ზღაპარში გვაქვს: „ვევიდა მზის დედის ძელურ ქოხში“-ო (ძვ. საქ. I. განყ. IV. 4. 1).

ხეესურული ლექსის მიხედვით ფიცარს ტყეში თლიან:

ქალას წამავე ფიცრობა, საბაგე ფიცარ გავთაღე,

შეორე კვირას წამავე, ვეღარ მაგაწლე ქაჭანი.

(შან. 277.683, 1—2)

ფიცრის ამგვარად დამზადება თითქოს მხოლოდ მთიულების ჩვეულება იყოს. ერთი ქართლური ლექსი პირდაპირ ამბობს:

შე ხომ მთული არა ვარ ტყეში გავთაღო ფიცარი.

(ძვ. საქ. III განყ. II. 137.938)

ქართლში კი ამბობენ:

ეს ტყე სოჲ თქვენს სელაო არი,  
ღანგრეთ კაი შორე ბი  
ღა ჩადგით კაი ზორგბი.

(ქვ. საქ. III. განყ. II. 97,536)

იმერეთში კი ნამორი არის მოხსენებული ერთ გამოცანაში:

ჩაიბულსა კიბეზე, სიროლიანის ციხეზე,  
ოთხი ნამორი აწეგია, ერთია კილის კიდეზე.

(უმ. 545,2197)

ხისგანვე ამზადებენ ყავარს. თუ ფიცარს გათლა ან დახერხვა უნდა, ყავარი ვახდის ხერხით მზადდება. ზემო იმერეთში ჩაწერილი ლექსი პირდაპირ ამაზე მიგვითითებს:

გავალ ხესა, გავვრამ ხელსა, ყავარს გავვხდი ფიჭვისასა.

(ქვ. საქ. I. განყ. IV. 88, 6, 7)

რაქაში ჩაწერილ ლექსში დასახელებულია მწე ყავრე მუშა.

მეყავრე მუშა მოლიან, ფაციაშვილიც არია.

(უმ. 74,90)

ამ ლექსის მიხედვით ყავრის გახდა კოლექტიური შრომით ხდება. ყავარი იხმარება ნაგებობის ვადასახურავად, მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ჩარდახს თავზე ყავარი ხურავს (უმ. 207,358), ერდოსათვისაც ფიცარი და ყავარი გამოყენებული (უმ. 159,238 ხევი) და სხვ.

ხის მასალად იხმარება მუხა. მაგ., ზემოიმერულ ზღაპარში ნათქვამია: „წააქციეს უშველებელი მუხა და დოუწყეს პობა. აპეს, აპეს, მარამ ვერასდგერი ღონით ვერ მოახერხეს მუხის დაპობა. მოჭრიან მეორე ძირ მუხას და ის კიდე უფრო კენძიანი და გოლპოღელი გამოდგება“ (ქვ. საქ. IV. განყ. IV, 26), ნაგებობისათვისაა გამოყენებული თუთის ხე (უმ. 95,142. მესხეთი); კაკალი და ალუბალი (ქვ. საქ. III განყ. II. 109, 652. ქართლი); ფიჭვი, ნაძვი, მაშხალა (უმ. 341,971. ქართლი); ძეძვი (ქვ. საქ. III. განყ. II. 208,50. კახეთი); ჯარჯი (ქვ. საქ. III. განყ. II. 108,652. ქართლი); ქაცვი (უმ. 459 ანდა-ზები. კ.); ჩალა (უმ. 282,573); წიფელი (ქვ. საქ. III. 185,1236); რცხილა (ქვ. საქ. III. განყ. II. 155. 1043); ალვის ხე (უმ. 360,1099).

ხის მასალის სახელწოდებათაგან იხსენება აგრეთვე: შეშა (ქვ. საქ. IV. განყ. IV. 87. ვაჭირი); ფიჩხი (შან. 268,662,2); ჩხირი (ქვ. საქ. III. განყ. II. 178,1201); ნაფოტი (ქვ. საქ. III. განყ. II. 272,38); ნაფოტარი (უმ. 350,1099); სარი (უმ. 314,753); წმინდათ დათლილი სარი (უმ. 230,426); წნელი (ქვ. საქ. III. განყ. II. 300, მესხეთი) და სხვ.

ხის მასალის თავისებურების მიხედვით ჰოეზიაში ნახსენებია ძელის სახლი (ტექსტი იხ. ზემოთ), წნულის სახლი (ქვ. საქ. III. განყ. II. 216,99. კახეთი), ფანჩატი სახლი (ქვ. საქ. II. განყ. IV. 346,83. ფშავი).

ჰოეზიაში მოხსენებულია აგრეთვე ცოცხალი ხეებით ნაგებობათა გამშვენების წესი. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

ჩენი მასპინძლის კარწინა ხევანი ამოსულიყო.

(უმ. 314,997.)



ანდა

კარზე დაგიდგამ ალვის სესს საჩრდილობელსა მზისსა.  
(უმ. 158,238)

ციხესაც ხევსურების თქმით:

ღთის კარზედ საკვესურადა ზღვამიან ალვის სენია.  
(შან. 222,541,7)

ხოლო გურულ ლექსში „ნაძვის ბოლებით“ გამშვენებულ ნაგებობაზეა ლაპარაკი:

საეჭროს ჩვენსას შევხედე, დუქანი გაჩაღებული,  
გარშემო ნაძვის ბოლები საფურცხოვითა შორთული.  
(ლლ. 126,128)

ხალხურ პოეზიაში მოგვეპოვება აგრეთვე ზოგიერთი ცნობა ნაგებობათა შენების ხერხების შესახებ ქვითა და აგურით, აგების ყველაზე მარტივი ხერხია ყორე, რომელიც უფრო მეტად ხევსურულ ლექსებში იხსენება, მაგ.:

გამაშლაღვის ყორეი, ხუროდ კარიღე სჷვანია.  
შუსხნა კეზის ბოლოსა სამრელოს ყორის ქვანია.  
(შან. 270,668,4—5)

სიტყვა „გამაშლაღვის“ გვიჩვენებს რომ ყორე უბრალოდ ქვაზე ნადები ქვა არის. ყორე იხსენება სხვა ხევსურულ ლექსშიც:

წიქასთან დაუბარებავ: ხორცი წაიღე შუგლისაო,  
მე უმარილო შეღევა, შენ ყორე გიდა ქვისაო.  
(უმ. 168,263).

ყორე იხსენება აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ. „მძიმეთ ნაგები“ შენობებისათვის (ხალხური გამოთქმა რომ ვიხმართ) უფრო რთული ხერხები გააჩნიათ: აგებენ ლამ-კირით, ქვითკირით და დულაბით. ლამ-კირით ნაგები ციხე ხევსურულ ლექსში იხსენება:

ფერ ახვლაშია სულსანავ, შენს სახლსა და კარსაო  
ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზე ნაღებსა ქვსაო.  
(შან. 87,208;30—31)

იქვე ჰქონიათ ქვითკირად ნაგები (შან. 276,678,5) და დულაბით აგებული სახლები. ხევსურეთში როცა დამქირავებელს

სახლი კაზიონ არ დახვდა, ქირა გაიღა, ფულია,  
მგელაისთანა ისურა დულაბით აგებლია.  
(შან. 288,732, 6—7)

ქვითკირი ხევსურეთში თვით ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინადაა ქცეული:

აკუშოს ქვითკირ ავაგე ლაფ გაუსვი კირივითა.  
(შან, 285,726, 1)

ქვითკირი ქართლურ ლექსშიცაა ნახსენები:

კაცი თავის გრძნობისაგან ბოლოს ჩავარდება ქირსა.  
ქირსა უნდა გამაგრება, როგორც წყალში იმ ქვითკირსა.  
(მგ. საქ. III. განყ. II. 188,1263)

კირი საქართველოს ყველა კუთხის პოეზიაში იხსენება, ხოლო ზღაპრებში კირის დასამზადებელი ნაგებობის სახელწოდებანი და თვით კირის დაწვის პროცესიცაა აღნიშნული. კირი, ლამი, ქვიშა ჯდა ლაფი არის ქვის ნაგებობისათვის აუცილებელი მასალა. მაგ., ხევსურული ლექსი ამბობს:

ყოფილა საკადრისი ღამ-კირით გაღესულია  
შიგაით პოლი, ღამფაი სრუ ხერხით დაწერულია.  
(შან. 288.732,9)

კახეთში ჩაწერილ ლექსში კი ვკითხულობთ:  
როცა აუნდა მანგლისი, წყალი მიუგდეს მილითა,  
[თეთრათა ლესეს სხსლეზი ქვიშანარევი კირითა].  
(უმ. 180.293).

ლაფის გასმაც ისევ ზემოთ მოყვანილ ხევსურულ ლექსშია მოხსენებული. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობისათვის შეგებდა რძით პირისმოლესვა. მაგ.: ქართლში ჩაწერილ ლექსში ასეთი ადგილი გვაქვს:  
თავს საწნახელი დამადგი  
პირი მოულესე რძითაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 61.282)

ამავე ხასიათის ლექსში გვხვდება დატალახვა. მაგ.;

როცა სტუმარი მოგივა ქვევრს მაშინ დაჭტალახავო.  
(ძვ. საქ. III. განყ. II. 107.635)

ზმირად იხსენება ხურვა. ხურავენსიპით, ყავრით, ჩალით და სხვ. (დაწვრ. იხ. ქვემოთ სახურავთან).

ნაგებობის გამშენებისათვის იციან მოქედა სხვადასხვა ძვირფასი თვლებითა და ლითონებით. მაგ., აბანო შეიძლება იყოს „მალდიდანა მოქედელი წითელ იფუნდისაო“ (უმ. 108.173. კახეთი), ანდა „სასახლე ოქროთი და მარგალიტით მოქედელი“. (სიხ. 188). ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში იხსენება სახლი მორთული სარათიანი. მაგ.:

სსლომც ღაჩეზა ტივლადა მორთული, სარათიანი!  
ჯოგიმც ღაჩეზა ტივლადა, კარს გიზავ ნალ-უსმრიანი!  
(შან. 150.378, 3—4)

რას ნიშნავს სარათიანი, ამის შესახებ შესაძარბელი მასალა არ მოგვეპოვება.

ნაგებობასთან დაკავშირებით ხალხურ პოეზიაში იხსენება რამდენიმე ლითონი. ნაგებობას ზოგჯერ რკინის კარებს უკეთებენ (შან. 161.418,2), ციხეებს „რკინის ლიბო“ ან სინის ძირი აქვთ ჩადგმული და ბელელს სინის ზღუბლი. მაგ.:

ვღმა ვამოღმა ციხეებს ლიბო ჩაუღვეს რკინისა.  
(ძვ. საქ. II. განყ. V. 27.49. გარეკახეთი)

ა5

ციხემ თქვა...  
შალვის ანაგები ორ, სინის ჩამიგვა პირიო.  
(შან. 221.540,5)

ან

გუღან აგებენ ბელღესა, ზღუბლად უღებენ სინასაო.  
(შან. 79.191, 1)

თავის სანაქებო გმირებს ხევსურული პოეზია რვალითა და ოქროთი შვექმ-  
ნილ ნაგებობას უსურვებს. მაგ.:

მგელათ უთურგას აუგით ეკალდამი რღლისაო;  
.....  
ოქროს დაუღვით სარგმელი, შუქი ჩაადგეს მზისაო.  
(შან. 62.155, 18—20)

თუმურ ლექსებშიც იგივე ლითონები იხსენება:

ღამარსეს მელევე განა,  
კუბო გამართეს რღლისაო,  
მოქარგეს ოქროს შვერღითა,  
შუქნი ადგება მზისაო,  
ოქროს შუშუტებ ჩაუშევს  
შუქნიმც დადგება მზისაო;  
(ძვ. საქ. II. განუ. V. 6.16)

თუმურ ლექსშივე იხსენება რვალი როგორც ფულადი საშუალება:

—ა ვაიმე ჩემო თუშეთო,  
ვეღარ მოგივალ მთელიო,  
ჩამოიფვანეს ლეკეთში,  
შემოეწვია ჯარიო.  
—ესა თუ იფო ლუქსუმი,  
ჩვენ იფო ნიაღვარიო,  
იფიდა ქირის პატრონმან,  
სულ გაიტანა რვალიო,  
საფლავედ შამასდინეს,  
როგორც ნაკურთხი სარიო.  
(ძვ. საქ. II. განუ. V. 40—41.66)

ზოგჯერ კი რვალის მაგიერ ამავე ლითონის სხვა სახელწოდებაა ნახმარი:

ერთან მოფარგლეს საფლავეი თორმეტის აფიცრისაო.  
ზედ გადაწურეს სპილენძი, ნამიც ნუ ჩავა წყლისაო.  
(შან. 191.475, 28—29)

ლითონის გარდა ლექსებში მოხსენებულია მინა ან სარკე. მაგ., ქართლ-  
ში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

იმას ვერავინ სჯობია, სხელი უდგია სარკისაო.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 176.1167)

ხოლო კახეთში ჩაწერილ ლექსში მინაა ნახსენები:

ფანჯრებ გავაკეთებინებ, ვასხმეინებ მინსაო.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 225.167).

## 4. სახლ-კარის აღნაგობა

საცხოვრებელი სახლისათვის ადგილის გამონახვას, მასზე სახლის აშენებას და მოწყობას დასახლება ეწოდება. დასახლებისათვის საჭიროა ალაგის გამონახვა. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენება:

ერთს ულაგო ალაგას ერთი გლანა ესახლება,

(ძვ. საქ. III. განუ. II. 32.117)

ხეცურეთში კი იტყვიან სახლობსო, მაგ.:

ნატრობდა ქალუნდაური: „ნეტა ვინ ამაყენაო!

საც მექობაური სახლობს, იქამც კი ჩამაჩინაო“.

(შან. 11.30, 19—20)

თვითეული მოსახლის ალაგო ან ადგილი (შან. 196.478,21 და სხვ.) შემოსაზღვრულია მიჯნით, რომლის იქით არის სხვისა. მაგ., ქართლურ ლექსში ამბობენ:

„უ ვერანო შუო სზოგ აჭყე-ღაჭყე მიყენასა,

თუ გადაწვალ სხვისასა, თოფს დაგარტყამ ზისასა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 178.1202)

სამოსახლო ადგილის მნიშვნელობით გვხვდება კარის პირი. ხეცურულ ლექსში ნათქვამია:

სადლეოდ გულის მკეფი, სახვალოდ ღობუს მოსრელია,

გაგატანინებს მამულსა, გედვას კარის პირს მტყელია.

(შან. 121.270, 5—6)

იგივე იხსენება ზღაპარშიც. მაგ., „იმით ბეღობაზე მარტო ერთი კარის პირი იყო საღლაც შორს, რიყეზე და ქვიშაზე, კინკრისა და ღოღოს მეტი არც არაფერი იდგა იმაზედ და არაფერი მოდიოდა“ (სიხ. 152).

მიჯნას შიგნით მოწყობილია სამყოფო. ვაჟა-ფშაველას მიერ ფშავში ჩაწერილ ლექსში აღნიშნულია:

მაგის სამყოფოს სას-კარსა, საბოსლო ქოსი სჯობისა.

(ძვ. საქ. II. განუ. IV. 340. 37)

მესხეთში კი სახლ-სამყოფი იხსენება:

ეს ქვეუნა ტანჯვისა არს, ავ-კარგი ჩვენი ვაღია,

როგორც ღმერთსა გაუგია, მოუცია ჰსჯგა, თვაღია,

სახლ-სამყოფი, საბადელი, ჭინანული, გვაქვს ნაღია,

კაცი რასაც ჰთვისს, მას მოშკის, გადისდის, თუ აქვს ბრაღია.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 265.29.IV)

ხეცურული მასალაც გვაძლევს ამ ტერმინს:

შენი სამყოფო აღამო, ცინის სათავის თვაღია,

დააკარ აპელანტარი, ზედ დაგედ ნიავ ქარია.

(შან. 218.536,20)

ხეცურულში იხსენება ბინა ამავე მნიშვნელობით. მაგ.:

მაუგში მიმეს ბინაი, ნაპირი ქალაქისაო,

(შან. 100.223,50)



მაგრამ ბინა ქართულ პოეზიაში უმთავრესად მინც მეცხვარეობა-მესაქონ-  
ლეობასთან დაკავშირებით იხმარება.

დასავლეთ საქართველოს პოეზიაში სამყოფოს მაგიერ სადგომი იხმა-  
რება. მაგ., გურიასი ამბობენ:

მთ სადგომი სახს შადგენდა უბრალო რამ ფაცხა ძველი.

(დღ. 140.141)

სადგომი იხსენება სვანურიდან დადღშქელიანის მიერ თარგმნილ ლექსშიც.

რურადი, ამაღამღელი სადგომი სად შექნება? რურა.

(უმ. 385.1143)

ოდესღაც საცხოვრებელ ადგილად ნამყოფ და შემდეგ გავერანებულ ად-  
გილს გურული ხალხური ზღაპარი ნაპარტახალად იხსენიებს: „წუთუკიდენ  
სახს ცეხლი და გუუღვენ გზას... წამევიდენ ისევლე უკან ნაპარტახალზე“ (სიხ.  
261).

სამყოფოს ძირითადი ნაწილი არის სახლ-კარი. სახლ-კარის მაგიერ  
ზოგჯერ ბან-კარი ვგვხვდებით. მაგ., ხევში (ს. სტეფანწმინდა) ჩაწერილ ლექსში  
ვკითხულობთ:

ქალი ქისტე ჯობს ხევსურსა, ვაკე ორსოვბლელი,

სამღევრად გუღამაურელი, თვის პანკარზე სხელი.

(უმ. 435.1602)

მესხეთში ჩაწერილი ლექსის კონტექსტში ერთ-კარიც ამავე გავებით  
უნდა იყოს ნახმარი:

წააქეუ მთლად ლეკობა, გვიტყვენ ერღო-კარსო,

(ძვ. საქ. III. განვ. II. 239.3)

ხოლო სხვა ზღაპარში ეზო-კარი იხმარება: „სულ ძვირფასი ქსო-  
ვილებით დაათენინა ეზო-კარი“-ო (ჩიქ. 124). მონეურ ლექსშიც კარი და ეზო  
ერთადაა გამოთქმული.

ვანეო გულაბეზარო, მამა დგლუპა ზესომა,

ჩანეთს ფაჩლად გავარდნამ, ცხოთა კარმა და ეზომა.

(გომ. 17)

ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში ეზო-მიდამო იხსენება: „უშველე-  
ბელი ეზო მიდამო ღობით იყო შემოვლებული... ეენთოთ სახლებსა და სახ-  
ლებს შუა ბელღობის წინ თორნე და ზედ დატრიალებდნენ ხაბაზი ქალები“.  
(ძვ. საქ. IV. განვ. IV. 30). მონეეებში ჩაწერილ ლექსში იხსენება აგრეთვე  
სახლ-გალავანი. მაგ.:

როცა მანგლისი აშენდა, წყალი მიუშვეს მილითა,

ღამართეს სახლ-გალავანი თერთათ გაღესეს კირითა.

(გომ. 100)

ზემოთ ჩამოთვლილ ცნებებთან, როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში  
კარი არის ხმარებული, მაგრამ კარი ხშირად დამოუკიდებლად და უფრო ფარ-  
გობით ნიშნელობითაც იხსენება. მაგ., ხევსურულ ლექსში კარი საშველობა  
გებითაა მოცემული:

2. ს. ბელუაძე. საცხ. ნაგ. ხალხ. პოეზიაში

6297



—რამ გამაგაქცივ, ერეკლე, რამად დაგატანა ძალი?  
—რასა შკითხველით, რუსებო, მტერმა მამტაცის კარი,  
შამაგდა თურქმანი, ქალაქს გააღინა ალი.

(შან. 23,57,5—7)

კარი ფართო გაგებითა ნახმარი შემდეგ ხეცსურულ ლექსშიც:

შატის რადა სლით, მშავლებო? განა ქალაქის კარო?

განა სხენ ოქრო-მჭედელნი, გან იწურება რვალია.

(შან. 61,151,1—2)

მესხეთში (ს. ხიზაბერა, 1884 წ.) ჩაწერილ ლექსშიც კარი ფართო გაგებითა ნახმარი:

კარგსა მეუღლეს დავიკებ, დავღვიარ კარის კარადა.

(უმ. 316,774)

ძირითადად სახლ-კარი უნდა გაგებულ იქნას, როგორც ორი მნიშვნელობის შეერთება: სახლი—საცხოვრებელი ნაგებობა და კარი—საცხოვრებელი მიდამო. ამ შინაარსს იძლევა, მაგ., შემდეგი სტრიქონები:

სრუ გადაშინჯეს სახლ-კარი, შაჭდეს ყველაის ხანზედა.

(შან. 427,163. გ. (019),38)

ანდა

კატემა რომ შეგვაწუნეს, სირცხვილია ჩვენთვის ესა,

სახლში აღარ დავაყენეს, კარში აღარ გავიშეესა.

(უმ. 247,459).

„სახლი ზოგადი სახელი არს ყოელთა სახლთაო“, — ამბობს საბა<sup>1</sup>. ხალხურ პოეზიაშიც სახლი ამ გაგებითაა წარმოდგენილი. ლექსებში მრავლად მოიპოვება ცნობები სხვადსხვა ტიპისა და კონსტრუქციის საცხოვრებელი სახლების შესახებ, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. ამჟამად კი ვილაპარაკებთ სახლის საერთო კონსტრუქციასა და მისი მთავარი ნაწილების განლაგებაზე.

სახლის ნაწილებია: საძირკველი, კედლები, სახურავი, ქერი, იატაკი, დერეფანი, კარი და სარკმელი.

სახლის აშენება იწყება საძირკელის ჩაყრით. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ასეთი გამოთქმა გვაქვს:

მაისმა სიქვა: „სახლს ვაშენებ, ჩამიყრა საძირკველი“.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 151.1028)

საძირკველი ქვისა უნდა იყოს. კახეთში (ს. გურჯაანი, 1870 წ.) ჩაწერილ გამოცანაში სამოთხის შესახებ ასეთი სტრიქონები გვაქვს:

თორმეტი ოთახი არის, სულ ნაეუები ღარშია,

არც სეა, არცა ფიცარი, არც საძირკველი ქვაშია.

(უმ. 148,225)

სახლის საძირკველი განსაკუთრებული მზრუნველობისა და პატივიცემის საგანია; ამას გვიდასტურებს ქართლში ჩაწერილი ლექსი:

<sup>1</sup> საბა — სულხან ორბელიანი, ლექსიკონი, თბილისი, 1928 წ.

გერ აღდგომელის კერაო, იმას უცქერის ყველაო,  
მერ სახლის საძირკველი, სტუმარი და მასპინძელი!

(ძვ. საქ. III. განუ. II. 95.523)

ხევი 1871 წ. ჩაწერილი ლექსის მიხედვით მდიდარს მძიმე საძირკველი აქვს. აქ ნათქვამია:

ბევრის ცხოვრების პატრონი ეგ მძიმე საძირკველისაო.

(უმ. 64.70)

საძირკველის ჩაყრის შემდეგ იწყება კედლის შენება, რომელიც შენდება ქვის რიგების წესით. მაგ., სოფ მარაბლაში ამბობენ:

კედელს ვაშენებლი, ურიგებ ქვასა.

(უმ. 303.687)

კედლებს შორის მოთავსებულია სახლის ესა თუ ის განყოფილება. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ის კედელი, ეს კედელი, შუაზე არის ამბარი,  
ამბარი და ამბრის კუთხე, ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 215.84)

სახლის ზედა ნაწილს სახურავი ეწოდება. მაგ., ზემო იმერეთში ს. გა-ჩეჩილადის მიერ ჩაწერილ ზღაპარში ასე იხსენება: „ამ დღიდან მევიდოდა ვინცხა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ჩუმათ ჩამოსძახებდა“. (ძვ. საქ. I. განუ. IV. 2).

სახურავი სხვადასხვაგვარია, ხშირად იხსენება ბანიანი სახლი. მაგ., სოფ. ვაქირში, „ვაქირელი ქალის“ მიერ ჩაწერილ ზღაპარში ასეთი აღვლილი ვგაქვს: „ვამოეთხოვა დედაბერს და ავიდა ქალის სახლში....ავიდა ბანზედ და დაიწყო წინ და უკან სიარული, ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა“. (ძვ. საქ. IV. განუ. IV, 63—64). ბანური სახურავი, როგორც ჩანს, მკვიდრადაა ნაგები. მრავალ ხალხურ ლექსში ნათქვამია, რომ ბანზე იკრებიება ხალხი, ხდება თამაში, ლექსობა, საუბარი და სხვ.

ბანური სახურავისაგან განსხვავებული სახურავი უნდა ჰქონდეს აფრიანი სახლს, რომლის შესახებ ერთ ლექსში ნათქვამია:

სახლი დავეცი ოქროსი, აფრა მარგალიტისა,  
შიგა რბალი მოვიფეხე ბუნდური ფეხისა.

(სიხ. 76.126)

სახურავის მასალაა: ჩალა, ყავარი, ფიცარი. კახეთში 1868 წ. ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ერთი ძველი სახლი მერგო, თავზე არ ეხურა ჩალა.

(უმ. 203.346)

კავრითაა გადახურული ჩარდახი, ხოლო ერღო გაკეთებულია ფიცრით.

სახლის შინაგანი ნაწილებია: ქერი და იატაკი. ქერი ზედა ნაწილია. ეს კარგად ჩანს ხევსურულ ლექსში:

ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ქერში რო ხეიღავ ქირჭოი.

(შან. 257.630,3)

მაგრამ ქერი განზოგადებული შინაარსითაც იხმარება. მაგ., ხევსურულ ლექსში ნათქვამია:

შიშნაივ, ნუმც შაგვესნება წელზედ ნაზამი ჳმადლოო,  
ნუმც გავიტყუება ჳერაი, არხოტის რკინის კარიო!

(შან. 39.102,12—13)

ჳერის ნაწილებია: თავხე, დვირო. მაგ., თავხე ჳლაპარში იხსენება: „ში-  
ხედა ცხერიშვილმა მადლა... ესროლა ისარი და თავხეს ჳედ მიაკრა“-ო (ჩიქ.  
92), ხოლო დვირო გურულ ფოლკლორში გვაქვს:

შენ რომ სასხა აშენებდი მე მიშქონდა მადლა დვირო.

(დლ. 123,125)

ჳერის მაგიერ ჳემო იმერეთში მერჩი იხსენება. მაგ., „ჳამეს თუ არა მეფემ  
და მისმა დედოფალმა, წამოუვიდათ რქები, ერთი რქის წვერი იატაკში ჩეესო.  
მეორე კი მერჩშიო“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 19. ს. წვეი, სევ. განეჩ.), ხოლო ჳე-  
რი სხვა გავებთაც იხმარება. ერთ ჳლაპარში ნათქვამია: „დაბა ბოსელში ჳერ-  
ზე ბავასთან ხარები და იქიდან ბუზლუნ-ბუზლუნით შინ ჳოხში შამევიდაო“ (ძვ.  
საქ. I. განყ. IV. 43). სახურავის ნაწილი აგრეთვე ჳესხეენი. ერთ-ერთ ჳლა-  
პარში ასეთი გამოთქმა გვაქვს: „მოჳრა ძუძუები, ჩაყარა შემოკიდებულ ჳეაბში,  
თითვან კი ჳესხეენში ევიდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს: აბა, რა მოხთესო“. (ჩიქ. 173). ჳესხეენი იხმარება ჳემო-იმერეთში ჩაწერილ ჳლაპარშიც: „გამევიდა  
ჳოხიდან, შეძერა ბოსელში, მიიპარა ჳანდივით ხარებთან და ბავასთან დაუ-  
წყო ჩურჩული... იქვე ჳესხეენში ევიდა ბატარა მწყემსის პარკი“. (ძვ. საქ.  
I. განყ. IV. 44).

სახლის ჳევეა ნაწილს შიგნიდან იატაკი ეწოდება, რომელიც ჳემოთ  
მოყვანილ ჳლაპარში ვეხვდება. ჳემო იმერეთშივე იხსენება სოხანე: „მშეთ-  
უნახავათ იქცა და ის იყო რომ დაიწყო სოხანის<sup>1</sup> გვა, შემოცივდნენ ანწილს  
ჳოხში დედა და მამა“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 32).

ხესტურულ ჳექსში იხსენება ჳახდარი:

შენს დას სცვაგ ოქრო-ქსოვილი, წელთ ვერცხლის ჳამარმოკრული;  
ჳახდარზედ შიზრუნ-მოზრუნავს, ქალი არა სჯობ სცვაკნური.

(შან. 245.598.8—9)

ანდა შემდეგი ჳექსი:

წავიდა გუდან მამუკა, მიღვა ჳარიათ კარსაო,  
ჩჳარა დალა კარები თვალ-წამი ერთის ხანსაო.  
ჳახდარში შიხნარს მიაწულა ჳარიათ ნათულასაო.  
ჳერ წუნარად გამადვიძა არ შაშინებს ქალსაო.

(ვაზური, 207,15)

ხალხურ მასალებში ხშირად იხსენება დერეფნიანი სახლი. მაგ.,  
ქართლში ჩაწერილ ჳექსში გვაქვს:

<sup>1</sup> „სხეენი უჳერო სახლებში, შუა ცეცხლის პირდაპირ მადლა გადებულ ხეებია“ (ძვ.  
საქ. I. განყ. IV. 44. შენიშენა), ჩანს სხეენა და სახურავს შორის მოთავსებული ადგილი  
ზესხეენი ყოფილა.

<sup>2</sup> „სოხანე—მიწის იატაკს ნიშნავს“ (დასახ. ნაშრ., გვ. 32, შენიშენა).



შენი ქირიმე, შენაო, სახლი ვინ ავიშენაო?  
დერეფანი ვინ დატივდა, თარო ვინ დატიშვენაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 147.1001)

დერეფანი სახლის გარეთა ნაწილშია დადგმული, რაც შემდეგი ლექსიდანაც შეიძლება დაინახოთ:

კნინამ გამამიძასა, მამისკიალა კბილია,  
ის შინიამ მიჯავრდება, შე დერეფანში ვსტირია.

(უმ. 273.526. კახეთი, ლ. ჩერქეზიშვი. ჩაწ. 1871 წ.)

შუამაზესი დერეფნის სახე ხალხურ ლექსში ასეა აღწერილი:

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს აღმასის დერეფანები,  
ვერცხლის ღებაბოძი ეღვას ზედ ოქროს გასაფარები.

(უმ. 281.559. ს. მარაბაში ნ. ბართოვის ჩაწ.).

დერეფანი სასახლესაცა ჰქონია, მაგ., ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია: „გადმომდგარიყო სასახლის დერეფანზე და იქიდან უკვირდებოდა გაღმა სერზე ამართულ ოდა-სარაიას და მის ოქროს ვალავანს“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 25—26).

ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

აგი პატარძლის ფურებას სახადი სჯობს სახლშიაო!

კოვცებს ფერსული დაუბათ გარეთ დერეფანშიო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 73.357)

ზოლო ამევე ლექსის 1869 წელს როინიშვილის მიერ ქართლში (სოფ. ქარელი) ჩაწერილ ვარიანტში დერეფნის მაგიერ კარაპანია ნახსენები:

აგი პატარძლის უოფანას სახადი სჯობს სახლშია;  
გამებს უბათ ფერსული გარეთ კარაპანიაო.

(უმ. 414.1391)

საბა ორბელიანი დერეფანზე ამბობს ფარღია სახლიო, ზოლო კარაპანი— არდემულს ნიშნავსო; ამ უკანასკნელს კი ასე განმარტავს: „არდემული—კალოს სახლი, კარაპანი სომხურია, ქართულად არდემული ჰქვიათ კალოს სახლსო“. კალოს სახლი ხალხური პოეზიის ნაბეჭდ მასალაში არ შეგვხვებდრია, იხსენება კალო ს კარი ხევსურულ ლექსში:

თოფს ისრევს ზერი ზერღია, მკვდარ უწყოვ კალოს კარზედა.

(შან. 31.80,13)

და რაქაში (ს. ონი) 1871 ჩაწერილ ლექსში:

ღორღომელა მელია, გოჯიხეთი რა მხელია!  
საში ღლისა სავალზედა ზედ კალოს კარი ჰვენია,  
სუჯუღ კუპრი ამოდის, ზედ ახვევია გენია.

(უმ. 154.235)

დერეფნის მსგავსი ნაგებობის ნაწილი უნდა იყოს გურულ ფოლკლორში მხოხსენებული პარმალი ან პარმახი, რომელიც ჯარგვალასა და ფაცხასთან დაკავშირებით გვხვდება. მაგ., კ. კალანდაძის მიერ გურიაში ჩაწერილ ზღაპარში ასეთი აღვლილი გვაქვს: „ჯარგვალის პატრონმა უთხრა: პარმაღში თუ გაათევ დამეს, თვარა ისეთ არ შეიძლებაო“ (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 48).

ერთს ზღაპარში პარმახი ფაცხის ნაწილია: „ჩემ ფაცხაში მე და ჩემი ქალი ძვილათა დავეტყულებართ და შენ საღა დავაწვინოვო... პარმახში დავწვინობი და ნუ მეტყევი ვარსაო“ (ლლ. 159).

სახლის ნაგებობის გარეგანი ნაწილია აგრეთვე მო ა ჯ ი რ ი. მაგ., ხეში. 1864 წელს ჩაწერილ ლექსში ასეთი ადგილი გვაქვს:

ადგა ხემწიფე გადმოდგა თავისა მოაჯირზედა:

„გლეხნო, თავადნო, მთავარნო, ვისა ძალგიძთ სამსახური?“.

(უმ. 15.10)

ანდა იქვე:

წავიდა და იქ ჩამოსტა მანიყას სიანლოვესა,

მანიყამ გადმოიხედა თავისა მოაჯირზედა.

(უმ. 16.10)

ხალხურ ლექსში იხსენება აგრეთვე ბ ა ქ ა ნ ი, რომელიც, როგორც ჩანს, ნაიდაგიდან ხელოვნურად ამალღებული ნაწილია, მაგრამ რა ნაწილია და სადაა მოთავსებული—შიგნით თუ გარეთ—ლექსიდან არ ირკვევა. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ქალო, შენმა სიყვარულმა ბაქანიდამ გადმომაგლო.

(ძვ. საქ. III, განუ. II. 126.821)

ხოლო გამოცანაში სანთლის შესახებ სწერია:

მალღა დავდექ ბაქანზე, წვენი დამდის კალთაზე.

(უმ. 527.1968)

სახლსა აქვს აგრეთვე კ ა რ ი და ს ა რ კ მ ე ლ ი, რომელთა საშუალებით ნაგებობაში მყოფი ადამიანი ურთიერთობას ამყარებს გარემოსთან. კარი სახლში შესასვლელ-გასასვლელი მოწყობილობაა. ხეცურული ლექსი კარს ოჯახის მცავს უწოდებს:

მივიდა, კენესით გააღა კარი ოჯახის მცავია,

გამაურდა ცულ-აფორით ქალი ეფხივით ავია.

(შან. 341.42.04, 41—42)

მესხეთში ჩაწერილ ლექსში კ ა რ ძ ე ლ ი სახლის მცარველია:

—აღე ვაჟო, გაიხედე, ჩვენი აქ დგომა პნელია,

თუ აგვავობრებს ერთიან, მოგვწუდება ზურგი, ქწელია,

თუ არა და თავს უშველოთ, გვიფარამს სახლს კარძელია,

შეგმაგრდეთ და დაუშინოთ, ტყვია-წამალი ბევრია.

(ძვ. საქ. III, განუ. II. 241.15)

საერთოდ ზარში კარის მაგიერ კარები იხმარება, მაგრამ ზოგჯერ კარიც გვხვდება. კარის ნაწილია აგრეთვე ზ ღ უ რ ბ ლ ი ანუ ზ ღ უ ბ ლ ი. ხეცურულ ლექსში ნათქვამია:

ძალლიკავ ხიმიკაურო, ლიქიკის ზღურბლო, ზღუდეო.

(შან. 45.117)

ანდა:

ამ დროს მივიდა მამუკა შააღებს ქერხოს კარსაო,

მმას ეპახს: „წამაგებე ამ შენსა ნათულასაო!“

გარმასტა გამანელია, წინ-წინ აკოცებს მძასაო.  
 მემრ კი ნათულას ვაჟაკი ველ-ყურს უკოცინს ქალსაო,  
 ერთმანეც გადასველნი დიდხანს ეუღლენს ზღუბლზედა.  
 (გაბური, 208.12)

კარსა აქვს კარის თავი. მაგ., ხევსურულ ლექსში ასეა ნათქვამი:  
 კზიღებიან ერთ ქვასა, უნდ ღავღვით კარის თავიო.  
 (შან. 576.542. პ, 30)

კარის თავს ზოგან საქურდელიც ეწოდება თურმე. მაგ., თ. რაზიკა-  
 შვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:  
 მოშენას შეატყობინეს: „ტატეს მოჰპარეს ხარიო“!  
 მოშენამა სიჩქარითა საქურდელ<sup>1</sup> სთხნომა თავიო!  
 (ძგ. საქ. III. განყ. II. 59.273)

კარის თავთან უნდა ჰქონდეს კავშირი ბალავერს, რომელიც გურულ ლექს-  
 ში იხსენება:  
 სამმა მამა ზადაქემა, ჩვენ გავაგდეთ ზადავერი,  
 თუ თორმეტი ჩამეიდვს, ის იქნება ფაღაფანი.  
 (ლლ. 26.47)

კარის თავად რომ ლოდები ყოფილა გამოყენებული, ამის ქართლში ჩაწერილი  
 ლექსი გვიჩვენებს:  
 ჩვენის ცოდვით მიწა იძრა ქრისტეშობის ცხრაშეტშია.  
 . . . . .  
 რომ გავიარე კარები მიწის დამიდგა თვალები,  
 დამეცა ლოდის ნაბობი, დამეშტვრა მხარი, მკლავები.  
 (ძგ. საქ. III. განყ. II. 153.1029).

კარის ნაწილებია: კარის ყუნწი, რომელიც კანეთში 1853 წ. სოფ. ენის-  
 სელში ჩაწერილ ლექსში იხსენება:  
 ასე შავლე კარები, ყუნწში არ შაუჭირაღე  
 (უმ. 391.1187)

საკლიტე და კლიტე, რომლის საშუალებით ხდება მისი დაკეტვა:  
 კარი კლიტით ჩაუკეტა, საკლიტიდამ ეტყოდაო.  
 (უმ. 247.458. თბილისი, 1859—60 წ.).  
 ამას გარდა კარის შიგნიდან დასაკეტად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში  
 სხვადასხვა სახელწოდების მოწყობილობას ახსენებენ. მაგ., ქართლში კარები-  
 სათვის კეტის დადება სცოდნიათ:  
 ხილისთავს ქვევრი მოგლიჯა, დაუღო კარებს კეტადა.  
 (ძგ. საქ. III. განყ. II. 153.1030)

ხევსურეთში კი:  
 ღიაცმა კარი მიქარა, კედას მიუგდე ზს სისასა.  
 (შან. 341.42. ზ, 04.29)

რაქაში:  
 დაბლა ჩავიდა სარდაფში, მაგრა ადებს კარებს ქელსა.  
 (უმ. 221.414)

<sup>1</sup> კარის თავი (ძგ. საქ. III. განყ. II. 59.273. შენიშვნა)

სოფ. ვრეშისხევში ურდულის შესახებ გამოცანა არის ჩაწერილი:  
შველა მიწვება, მოწვება, ის იმას აწვება.

(უმ. 527.1957)

კარის გარედან ვადაკეჭეას მესხეთში გარდაზიზვეას უწოდებენ. მაგ.,  
კონსტანტინე ლაჭიჩეს, წელი შამოხსნეს ოქროს ხმალი,  
ცნრა-კლიტულ სახლში შეაგდეს, გარედ გარდუზირაჟეს კარი.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 274.43)

საცხოვრებელ ნაგებობაში მეორე ღია ადგილი კარის გარდა არის საკ-  
ვამი. ხეესურულ ლექსში ნათქვამია:

აის ქალი ვარ, ვეკო, გუშინ რო შენ არ გინდოდი,  
შენს კარსა და საკვამსა ქარივით ვეცვითობოდი,  
დაფანჯარულ ეზოთა მუჭლის კვრით ვუბობდებოდი.

(შან. 150—151.380,1—3)

საცხოვრებელ ნაგებობაში მეოთხე ადამიანს თუ კარა დაკეტილი დიხება,  
საკომიდან უნდა გაძვრეს. ასეთი შემთხვევა ჰქონია ხეესურ ფადიაურს:

მთელს ოჯახს გასჭრა თავები, ღიღს ეგაბათ, გაუყოფლზე,  
მამე მიმართა კარებსა ჩირაღის მანათობელზე.  
კარები დარჩა კლიტული, სულ შავგვალა ცნო ფერზე,  
მემრე მიმართა საკომსა, სჩხრეკს თავის გასაყოფელზე.  
საკომით გაგვრა, წავიდა, მუელ მაგრა მიღის სოფელზე.

(შან. 477.232, დ (023),6—8)

სახლზე თავდასხმის დროსაც თუ კარა დაკეჭილია და ვერ შეკადან, საკ-  
ვამიდან დაუწყებენ ბრძოლას. ასე მოჰკლავენ მთრეხელს:

კარიდან აღარ შაუშო, საკმიდან ღაჭკვრენ ისარსა.

(შან. 340.42, ვ, 12)

ამავე ლექსის მეორე ვარიანტში კი საკომღე იხსენება:

საკომლით უკრეს ისარი, სისხლის პატრონი ავია.

თორმეტი მოხვდა მთრეხელსა, ღაჭკვრითეს როგორც ცხავია.

(შან. 341.42 (04) 36)†

შუქიც საკვამიდან შედის ხეესურულ სახლში, ამას შემდეგი ლექსი გვიმოწმებს:  
მელიშნებოდა ქალადი,—შუქ დაღა საკვამთანაო.

(შან. 138.345, 22)

ამავე მნიშვნელობისა საკვამის კარი ხეესურულ პოეზიაში მაგ.:

ნათულამ უთხრა: „გათენდა, ავღათ, გავიღოთ კარშია!

მზის გრილონ შამაიყარინეს, უყურედ საკვამის კარშია.

(გაბური, 208.22)

ქართულ ზღაპრებში სარკმელი იხსენება, რომელიც ისევ ბანზე არის,  
მოთავსებული: „ქალი მივიდა და სარკმლიდან ჩასძახა დევების დედას:—დედაც  
დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდო!... დამ უთხრა... მიველ და ჩა-  
ძახე ბანიდან ცეცხლი მომეცით მეთქი“ (ჩიქ. 143—144). ასევე სახლის თავ-  
ზეა მოთავსებული სარკმელი გურულ ფოლკლორშიც: ავი რძალი ამბობს:

მაზლი სარკმელში ჩავადე, შით გაფანჯრეო.

(ღლ. 25.45)



ხევში 1381 წ. ჩაწერილ ამირანის თქმულების ვარიანტი უსუფი და ბად-რი კარსა და სარკმელს იყენებენ დევების სახლში შესულ ამირანთან ხმის მისაწვდენად. აქ ნათქვამია:

ვგ ბადრი კარზედ მოუღვა, უსუფ სარკმელში ქეთილა.  
(უმ. 5.3)

მაგრამ არსენამ

კარიღან ველარ შეასწრო, ფანჯრიღან გაღიპარო.  
(უმ. 23.15)

აქ უკვე ჩნდება ფანჯარა. ფანჯარა გვერდის კედელშია მოთავსებული. ამის ნათელ სურათს იძლევა ერთი გვიანდელი ხეცსურული ლექსი:

[სახლსა] გარეთზე ბალკონისა მირგვლით ფანჯარა ულია.  
(შან. 288.732,10)

ფანჯარა მზის სანათობლადაა საქირო. მაგ., ხევში, ს. სტეფანწმინდაში 1871 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კარს გაღვენები მივლა, ქარმა სრა მაგის პირსაო,  
გარშამო, ფანჯარაები, სანათობელი მზისაო.  
(უმ. 64.70)

ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ლექსში მშენებლობა და გადმოცემული ბრძოლა ამ ახალი და ძველი ჩვეულებისა სახლის მშენებლობაში:

სახლი რო ავიშენევი, ჩემთვის შევაბი კარია,  
ფანჯრები დავატანევი, არ გაუწიო ბნია<sup>1</sup>.

(ქვ. საქ. III განყ. II. 166—167.1108)

ბანზე მოთავსებული საკვამის ანუ სარკმლის მნიშვნელობით ზემო იმერეთში შეკრებილ ზღაპრებში გვხვდება საფაფური. „ამ დღიდან ყოველ ღამე მივიდოდა ვინცა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ჩუმად ჩამოძახებდა“. (ძვ. საქ. I განყ. IV. 2. სოფ. წვეა. სევ. გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილი). საფაფური შუქის შემოსასვლელი საშუალებაა სახლში, რაც იმავე კუთხეში ჩაწერილ ზღაპარში ჩანს: „მთვარიანია, შუქი შემოდის ძელურის საფაფურიდან და ნაპრალებიდან“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 52).

გარდა ამ ძირითადი ნაწილებისა, სახლში არის მოწყობილი: ბუხარი, თარო, ქირკო, ქანდარა. ბუხარი იხსენება თათქის ყველა კუთხის პოეზიაში. მაგ., მესხეთის სოფ. ხიზაბავრაში 1384 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

სახლო საკეთოდ ნაშენო, ზედ გამართულო ბუნარო.  
(უმ. 343.985)

მოხვეურში:

ზამთარს უფორდა ბუხარი, ზაფხულის გრილი ნიავი.  
(გომ. 7)

<sup>1</sup> სახურავში ბოლის (კვამლის) ასასვლელი ნახევრეტი. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 2, შენიშვნა 1)

ხევში 1876 წ. ჩაწერილ ლექსიდანვე ჩანს, რომ ბუხართან სკოლინათ ლექსობა:

ჩამაჰვამს ბუხართან ფესსა, ელექსებოდა ქაღებსა.

(უმ. 256.475)

ბუხარს აქვს ბუხრის პირი, ხალხის დასაჯდომი ადგილი ბუხართან გასათბობად. ხევსურულ ლექსში ნათქვამია:

მიზგედილი ბუხრის პირშია, მამხიე, მაგარ-მაგარი.

(შან. 262.645,6)

გვაქვს გამოცანებიც ბუხრის შესახებ. მაგ., ქართლში, ხევში და სხვაგან ასეთი გამოცანა გავრცელებული:

შავი არის შაშვივითა, გალაჯულია კაცივითა,

ან

შავია შაშვივითა გალაჯულია დათვივითა.

(უმ. 505.1675.1676)

სახლში არის მოწყობილი თარო—ჯამ-ქურჭლის შესანახი ადგილი. ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

შენი წილი შექამანდი თაროზე და ჯამითაო.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 176.1173)

გარე კახეთის სოფ. პატარძელში ჩაწერილ ანდაზაში ასეთი გამოთქმა გვაქვს:

გესმოლეს, თარო-კედლო. ხანიდან მყურებელო.

(ძვ. საქ. II. განვ. V. 89. გ. 1)

მესხეთში „ვინმე მესხის“ მიერ ჩაწერილი ლექსიც ამასვე იმეორებს:

ცას მოწმენდილსა წვიმა წვიმს, გესმოლეს თარო, კედლო,  
ქმარ-მაზლინ გვერდით მისხედან, შორ გამოიარე მსეღველო.

(ძვ. საქ. III განვ. II. 264.29. IV)

თაროს განყოფილებები აქვს. მაგალითად, არის ზემო თარო და ქვე-  
მო თარო. მაგ., ხევსურულ ლექსში ნათქვამია:

ზემო თაროს კოლი მიღვან, ქვემო თაროს თასებო;

სამროხეში ვინ მიზან, მაგათ არ შეფერებო.

(შან. 161.414, 1—2)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თახჩა, რომელიც პირდაპირი დანიშნულები მინხედით ლექსში არ შემხვედრია, იხსენება კბილების შესახებ გამო-  
თქმულ გამოცანაში. მაგ., 1885 წელს სოფ. გრემისხევში ჩაწერილ გამოცანაში ნათქვამია:

ერთი თახჩა მაქვს, კენჭებით გამოტენილიო.

(უმ. 515.1798)

სახლის ნაწილებია ქირკო და ქანდარა. მაგალითად, ხევსურულ ლექს-  
ში, რომელშიც ოჯახი არის აღწერილი, ზემოხსენებული ტერმინები არის მო-  
ხსენებული:

შენ დალოცვილო ოჯახო, სამ ვერჯად აშენებულო,

ზეგრო ნაწველო სატანო, შენ ერბოვ გაძველებულო,

დაკალულებო ქვაბებო, ქირჭოზე შაშვენებულო,  
ქანდარავ შალა ნაღებო, ფლას-ფარდაგ გაჯარებულო,  
დაჭიქულებო ჭურჭლებო, შიგ არაჲ ჩაუყენებულო.

(შან. 252—253.615, 1—5)

ამ ლექსიდან ირკვევა, რომ ქირჭო ჭურჭლის დასაწყობად გამოიყენება. ქირჭოს მოწყობილობაზე გველაპარაკება მეორე ხევისურული ლექსი, სადაც აღნიშნულია:

ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ჭერში რო სკიდავ ქირჭო.

(შან. 257.630,3)

ქანდარაზე კი „ფლას-ფარდაგი ყოფილა გიჯარებული“. ამ აღწერილობას ემორწმება ხევში 1890 წელს ჩაწერილი ლექსიც:

ერთი ქურქიც ხომ შიბოძეს, ექამინ მესხა ტანზე,  
ეხლა კი დამიძველდება, დავკილამ ქანდარაზე.

(უმ. 560.94. იე)

სახლი შეიძლება იყოს რამდენიმე თავალი. გურულ ლექსში ნათქვამია:

ვორი თვალი სახლი უღვას  
წრინი რომ ქრა წიქცევა.

(ღლ. 64.87)

ხევისურულ ლექსებშიც სახლის ზეთა თვალი და ქვეთა თვალი იხსენება:

ზვიადი წევსა ქალსთანა, სახელად სქვიან თინაო.

შიაც კი მგულავ ღაღატი, ზვიადს თუ დაძინაო.

მწარ-გვერდზე შამაწოლიდმა ფეშ ჩავიმძღვალე წინაო.

თოფ გამივარდა კარზედა, ცხენივით შამაშქვივლაო.

ზეთას თვლით ჩამოდიოდა კოკოშაის გმინვაო.

არ ვიც თოფ მოხვდა გულზედა, არ ვიც ქალმ დაიჭირაო.

(შან. 287. 730,3—8)

როგორც ჩანს, ხევისურული სახლის ზედა თვალს ქერხოს უწოდებენ:

სახლ დაგჩა კირით ნალესი, ნაღომი ვაკის პირსაო;

კარზე ნაბამი ღურჯაი ფხვრიალეს, უცემს ცხვირსაო.

ჭერხით ჩამოდის დგრიალი ნალესი ფრანგულისაო.

(შან. 88—89.209,32—34)

ქერხო ხევში სოფ. სტეფანწმინდაში 1890 წ. ჩაწერილ ლექსშიც გვხვდება:

შავიყარენით სწორები, ჭერხოსა<sup>1</sup> დავსხელით სმაზედა,

ხელჩი მივეცით საღვინე, ჭირჩლაი გვადგა თავზედა.

(უმ. 33.16)

ზეთა თვალის მავიერ მოხვეურში ზაით სახლიც ითქმის:

ზაით სახლს ქოთან გიღვას, ტყავი ზურია ვერძისა,

ქოთაც გაგიყინულდა ჩაქუჩი უნდა ბერძნისა.

(გომ. 81)

ხევისურული სახლის ქვეთა თვალში დარან იარის დასახელებულია:

სახლნ მიდგან ზუროს ნაგები, კუთხს არ დაგლიჯნათ ქვანია!

<sup>1</sup> სახლის ზედა სართული (უმ. გვ. 33, შენიშვნა 1).

ქვეთა თვალს ღარან ჩავეარენ: შუქო, თამარა ღანია.  
არ ამოიხსნათ სვთის მადლმა ღამაზნი ჩემნი ღანია!

(შან. 303.2 თ.15—17)

ხოლო ამავე ლექსის დ ვარიანტი, რომელიც ბესარიონ გაბურის თქმით არის ჩაწერილი, ქვედა თვალს არ ახსენებს და პირდაპირ ღარანს ხმარობს:

— „შინა ვართ ზიმა-ჰმისწულნი, ორნი გვცნაიან სსვანია,  
ბევრა ღაფეფუთ ისარი, კოდებით გვადგას წუალია,  
ქალნი ღარანში ჩაფარენ: შუქო, თამარა ღანია.  
ლაშქარო ზურაბისაო, არ მასუველა კარია!“

(შან. 300.2. დ, 8—11)

როგორც ლექსიდან ჩანს, ღარანს კარიც ჰქონია. თვით ბესარიონ გაბურის ღარანს ასე განმარტავს: „წისქვილის ძირს ძირის თვალი, რომელშიაც წყალ ვადის“ (საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადიწერი, გვესურული მასალები ს ლექსიკონი, გვ. 269. დ).

კახურ პოეზიაში ქვეთა თვალს შეესატყვისება ქვევითი, როგორც ჩანს, აქ პირდაპირ ქვევითი ეწოდება სახლის ქვედა ნაწილს. რძალი ამბობს:

ღღამთილს თმები ვაგლოჟე, ბანზედ ღავონო.  
ნეფეს წისლი მოვასვედრე, კარებს ვაწუფიტო.  
ერთი კოჭლი მაზლი შევანდა, ქვევით გავადგო.

(ქვ. საქ. III. განყ. II. 213.71)

ასეთივე ბედი ეწვევა რძლისაგან დაბრძენებულ მამულს მეორე ლექსშიც:

მე რო რძალი შემეფარა, ისიც იყო თარაქაზა,  
.....  
მე რო ქვევით დამივალა, შუა კაცი შემეფანა,  
ღანჯღრეული ქობი მომცა, იმას არა ჰქონდა კალა.

(ქვ. საქ. III. განყ. II. 207.39)

ქოითი ეწოდება სახლის ქვედა ნაწილს მოხევეებშიც, რომლის შესატყვისის ტექსტი ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ.

ხალხური პოეზიის მასალებში გვხვდება აგრეთვე სა რ თ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ - ლ ი . მ ა გ . , ერთ ქართულ ზღაპარში ასეთი ადგილი გვაქვს: გაიყურა და დაინახა ათსართულიანი სახლი (ჩიქ. 133). სახლის სართული იხსენება აგრეთვე სოფ. პატარა ჯიხაიში ჩაწერილ გამოცანაში მთვარის შესახებ:

სახლის სართულზე ჭამის ნატეხი ძეგს.

(უმ. 521.1882)

სახლს აქვს ნაწილები: სა ხ ლ ი ს თ ა ვ ი , ყ უ რ ი ო ო ყ უ რ ე ო ო ყ უ რ ი ა , ზ ე - მ ო თ ა ვ ი , კ უ თ ხ ე , შ ი ნ ა , გ ა რ ე თ ა წ ი ნ გ ა რ დ ა და ს ხ ე .

სახლის თავი იხსენება ზღაპარში. მაგ., „გამოისროლე ეს მშვილდი...რომა ჩემი სახლის თავი ოთხი თითის დადება გაიტანოს თანა“ (სიხ. 191). სხვა ქართული ზღაპრის მიხედვით სახლს ჰქონია აგრეთვე ოთხი ყური, მაგ.: „დათვ-კაცამ ასწია სახლის ერთი ყური და შეუდგა ღვეს მხარზე, ასწია მეორე და მეორე ღვეს შეუდგა, მესამე—მესამეს და მეოთხე—მეოთხეს“ (ჩიქ. 86). ზოგან



სახლის ყურე არის ნათქვამი, მაგ., „გლენი რომ შინ მივიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუზა და ლაპარაკს ყური დაუგლო“ (სიხ. 136). ყურე ხეცსურულ ლექსებშიც გვხვდება, მაგ.:

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში ველანია!  
.....  
ზემოთ ყურეს ღოგინაი, საცა უფრო ბნელანია!

(შან. 636.435. ვ)

ამავე ლექსის სხვა ვარიანტებში ყურია და ზემოთავე იხსენება:

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში ველანია!  
.....  
ურიაშე ღოგინაი, სადაც უფრო ბნელანია!

(შან. 536.435. დ)

ან

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში ველანია!  
.....  
ზემო თვალში ღოგინაი, საცა უფრო ბნელანია

(შან. 536.435. გ)

სახლსა აქვს კუთხე. მაგ., ხევში (ს. სტეფანწმინდა) 1881 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კუთხი გამითნეს ცეცხლანი, კერაჩიც ნულარ ხარია.  
(უმ. 226.417)

ქართლში ჩაწერილ ლექსში ოთხი კუთხე არის მოხსენებული:

დაწვა ფიწალი ორითი, ცეცხლი დაანთო გულისა,  
ოთხკუთხე ბოლი ამოდის, დახე დახვედრა სტუმრისა.

(მგ. საქ. III. განუ. II. 106.626)

სახლსა აქვს შინა და გარეთა. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში, რომელიც უკვე ზემოთ მოვიყვანეთ, ქალი „შინი დამ“ უჯავრდება დამნაშავე ქმარს, რომელიც დერეფანში ტირის. გარეთი კი ყველა კუთხის ლექსებში გვხვდება. მესხეთში „გარეთ კარის გარდაზირზე“ ხდება, ქართლში „გარეთ კარაპანია“, ხეცსურულ სახლს „გარეთ ბაღი“ აქვს და სხვ.

შინაში არის კიდევ შიგნით შიგანი, ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

სარტყელში ხელი ჩამაგლო, შიგნით შიგან შემიყვანა.

(მგ. საქ. III. განუ. II. 125.808)

ამავე გაგებით უნდა იყოს ნახმარი ხევში (ს. სტეფანწმინდა) 1890 წელს ჩაწერილ ლექსში: შინ და შინ:

ვიკითხე კორაის სახლი, — ზედ მიმიყვანეს კარზედა,  
შინ და შინ შამიპატიყეს, დამსვეს სამარტო უპამზედა.

(უმ. 34.16)

სახლის ნაგებობის გარკვეული ნაწილია შიგნითა ან შინგარდა, რომელიც ხეცსურულ ლექსებში არის მოხსენებული, მაგ.:

ა ბეჩანა, ბახალო, რამთვენ ბექდებ ღაიჯანა!  
 შენი ღრო სო კაცს აღარ აქვ, ღობილი გყავ მარიჯანა,  
 გუშინისა წინგართაზე შუა ბანზე გედვა ჟვარა,  
 ერთ რო სიმღერეს იტყოდით, სსო იმას რო აიჯანა.  
 ჩემვე თვალს არ დაიცემენ, მაშ რა ექნა, რო არ ვიჯავრა?  
 (შან. 159.405)

ზოგან წინგართას მაგიერ წიგნარდა გვაქვს, მაგ., შემდეგ ლექსში:  
 ქაბუკათ ჩაჩაურასა დავლათ დააჯდა მვარზედა.  
 მაუკლავ მამის მამკლავი, მკვდარ უწევს წინგარდაზედა.  
 (შან. 31—32.80,15—16)

საჭიროებისა, ანდა შესაძლებლობის მიხედვით, სახლს შეიძლება სხვადა-  
 სხვა განყოფილებები ჰქონდეს. იხსენება საწოლი, სანთობო, საბნელო,  
 სამრელო და სხვ.

საწოლი საძილედ განკუთვნილი განყოფილებაა. მაგ., ხვესურულ ლექსში  
 ნათქვამია:

ადგიან, წამავილიან გაგას მუქარაზედა,  
 . . . . .  
 საწოლით მასწველვენ გაგას, ვეფხვს სძინებოყვა მკლავზედა.  
 (შან. 31.80,2—5)

საწოლის როგორც ავეჯის მნიშვნელობით ხვესურეთში „ლოგინი“ იხ-  
 მარება. მაგ., იქ გვაქვს:

ოთაღი არქიელას ედგა ლოგინი ქრელიო,  
 (შან. 155.397,7)

ამიტომ საწოლს სხვა გავება უნდა ჰქონდეს. საწოლი იხსენება ქართლში ჩაწე-  
 რილ ლექსშიც:

ათასი იქვე ჩაყავა განჯის გაღავნის წინაო,  
 ასე შევიდა საწოლში, თითქო ყოფილა შინაო.  
 (უმ. 123.197)

საწოლს გარდა, სახლის განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილებაა  
 სანთობო, რომელიც ახლად ჯვარდაწერილთათვისაა განკუთვნილი. მაგ.,  
 ზემო იმერეთში (ს. წიგა) სევ. ვაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია:  
 „გვიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთობოში<sup>1</sup>. მიხურა მეფემ  
 სანთობოს კარები“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 8), ან კიდევ იქვე, „ქიჭიტალადან  
 შეიხედა სანთობოში ერთმა გადიამ“ (9).

გლოვისათვის განკუთვნილი ადგილიც არის საცხოვრებელ ნაგებობაში,  
 რომელსაც საბნელო ვწოდებთ. მგლოვიარენი „საბნელოში ჩასხდებიან“. მაგ.,  
 ხაესურულ ლექსში ნათქვამია:

ნუ სკვდები, გორელაურო,—მარტო ხარ, არ გძვებისა.  
 მამასა ურჯუკაისას მზე უდგას, უბნელეებისა,

<sup>1</sup> ახლად ჯვარდაწერილთათვის საკუთარი ოთახი (ძვ. საქ. I. განყ. IV. შენიშვნა 3).

თორ დედა ბებერ სყოლია, ცვილის სანთლები სდნებისა.  
 დანი სახნელოდ ჩაუსდეს, ფარაგითი იხოშებისა.

(შან. 114.253,14—17)

თუშეთის გმირ განა ქოთლიაძეზე ნათქვამ ამგვარსავე ლექსში ბნელეთი არის ნახსენები:

განასა დედა ბეჩავი ბერი ბნელეთსა ჯდებოა.  
 ბრალია განას დიაცი სანთელივითა დნებოა.

(ძვ. საქ. II. განყ. V. 6.16)

სახნელო ქართლურ ლექსებშიც იხსენება. 1863 წ. ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

მამას წიგნი მოუვიდა—ანდუფაფარ მამკვდარაო

.....  
 დელამისი მარიაში სახნელოში დამკვდარაო.

(უმ. 264.491)

ქართლშივე ასეთ სახლს ბნელური სახლი ეწოდებოდა. მაგ.:

ეთერო, შენის ნდომითა ჩონა გავცვითუ ძველური,  
 მინც ვერ დამედურები სახლი დიდგა ბნელური.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 193.1283)

არსებობს საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით ქალის დროებითი საცხოვრებელი ნაგებობა სამრელო (ხეცსურეთი). სამრელოში ქალი იმყოფებოდა „დღედათ წესის მოხდის“ დრომდე. სამრელოში მყოფი ქალი აჯალაფთავან, დაცილებულ-გაწირულა“. მისთან არაფერ მიდის. ლექსში ნათქვამია:

სამრელოს კარში ჩამავჯე, გამზრალი ორ, გაუნული,  
 აღარც ჯალაბთ მამიგონეს დაცილებულ-გაწირული.

(შან. 139.348,1—2)

ანდა სამრელოს ქვების სახლში შეტანა საშინელებად ითვლება. მაგ.:

უშირებაჲ ქმრულთა გუშინ მოსული ზალია,  
 ნაფეტვარში მცსოვრებმა თავზე წაიკონა შივარია,  
 გამოსერნავდი შატილსა. გაქვ ატაკიან ბანია.  
 გამაუშლავის ფორეი, სუროდ კირილე სეფანია.  
 შაუსხნა კეზის ბოლოსა სამრელოს ფორის ქვანია.

ამას ითქვამს ხელია: „სახლში მიბზინავ ჯვარიავ“

ამავის მალექსებული განმა კანშას ქალია.

გამიგონებენ ქმრულნი, ჩემს ენა-პირზე ქვანიაჲ.

(შან. 270.668)

ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ლექსში საბოსლო ქოხი იხსენება:

მაგის სამყოფოს სახ-კარსა საბოსლო ქოხი სჯობია,  
 შინ რო მიუვა სტუმარი, პურსაც ვერა სჭამს ცოღვითა,  
 დათამაშობენ თავებუ, ფსაწი-ფხუწი დგა სკორისა.

(ძვ. საქ. II. განყ. IV. 340.—341.37)

თუშეთში საცხოვრებელი სახლის მნიშვნელობით ბელელი უნდი იხმარებოდა. მაგ., ივ. ბექურაულის მიერ ჩაწერილ თუშურ ლექსში გვაქვს:

თუშნი და ლეკნი ომობენ აქვერის სოფლის პირსაო;  
სისხლისა ლვარი დაბრუნდა, დაღვა სოფლისა პირსაო;  
ლეთ სოცავს მანქარაული, მარჯვენას არა სქრისაო,  
აქვერეთი დიაც-ჟამაწილინი ბელლით გამოჲდისაო,  
აქვერეთი ცხვარ-ჟაროვანი თუშეთში გაჲმოღისაო.

(ძვ. საქ. II. განყ. V. 41.67)

ზემოხსენებულ კრებულში, თანდართულ დ. კარიჭაშვილისა და ივ. ბე-  
ქტრაულის მიერ შედგენილ თუშურ ლექსიკონში, ბეღელი განმარტებულია რო-  
გორც საზამთრო სახლი (ძვ. საქ. II. განყ. V. 130).

ცნება „სახლ-კარის“ ბირველი ნაწილის შემადგენელი ნაწილების დახა-  
სიათების შემდეგ, საჭიროა განვიხილოთ „კარის“ გაგება ხალხური პოეზიის მა-  
სალებში.

კარი ეზოს გაგებით უნდა იყოს ნახშირი ხეცურულ ლექსში:  
ნაღობის კარზე შამავევ, კართაზე მამჩეს თვალნიო.

(შან. 147.367,2)

აქ ნაღობის კარზე ნიშნავს ნაღობის ეზოს, ხოლო კართაზე ნაგებობაში  
შესასვლელ კარს. გურულში კარია ისევე ეზოს უნდა უდრიდეს, მაგ.: „შარშან  
ჩემი შვილი ცხენს გაიქენებდა და წროულს კარიახეც ვერ გადაიარს“-ო.  
(ძვ. საქ. III. განყ. II. 304. შ. 2).

ეგებ ზემო იმერეთში ჩაწერილი „ქოხის ბაკეც“ ქოხის ეზოს ნიშნავ-  
დეს. ერთ ზღაპარში ნათქვამია: „ეს საშინელი სანახაობა, პირდაპირ შეგარდა  
იმ უნტროსი ძმის ქოხის ბაკეში“-ო (ძვ. საქ. I. განყ. IV. 48).

ეზო შემოწოდულა ღობით, მესერით, ყორეთი, ღობე-ყორე-  
თიან გაღავანიო. თვით ზღუდეც იხსენება ლექსში, მაგ.:

ძაღლიკავ სიმიკაურო, ლიქოკის ზღურღლო, ზღუდეო.

(შან. 45.117)

ზემოიშვრულ ზღაპარში კი ნათქვამია: „უშველებელი ეზო-მიდამო  
ღობით იყო შემოვლებული“ (ძვ. საქ. VI განყ. VI. 30). ღობე ქართლში ჩაწე-  
რილ ლექსებში გვხვდება; იგი მრავალნაირი მასალისაა: ძეძვი, ჯარჯი,  
ქაცვი, სარი, წნელი და სხვ.

ღობის კეთება შეიძლება ღობის ავლების წესით. მაგ., ქართლში  
თ. რაზიკაწვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვხვდება:

მინდარს ბალი ვაუნე, ღობე ავაველე ჟარჯისა,  
კარები ვაბი კავლისა, ამჟოლი ალოუბლისა.

(ძვ. საქ. III. განყ. IV. 108—109.652)

შეიძლება აგრეთვე ღობის წნელით დაწვნა: ვაჟა-ფშაველას მიერ  
ფშავეში ჩაწერილ ლექსში გვაქვს;

ღობე რა ნაქარს დაიჭერს, ღობეა წნელით ნაწნავი.

დაქპროღუნებს, შაკეუნჭება, რო ნაშალაის ბაწარი.

(ძვ. საქ. II. განყ. IV. 340.36)

ზემოიშვრულ ზღაპარში ღობე-ყორე იხსენება: „თხებივით დარბოდ-  
ნენ გზა-კვალ აბნეულები და ღობე-ყორეს ედებოდნენ“-ო. (ძვ. საქ. I. განყ. IV.  
12). მოხვეურ ლექსში კი ყორე გვხვდება, მაგ.:



ხევით წამასვე ლომგული ბაბუკის ნათელიყო,  
 ხეესურეთს გადაემართე.....  
 ყორის კარს ცხენი დამიდგა, ყორანი ხეფელა ყორასა.  
 (გომ. 24)

ხევსური ბესარიონ ვაბურიც წერს: „აიღებს ერთ ქვას და შაშვინჯავს ცულის ყუთი ყორეში... მემბრა გაუშობს შაშვინჯულ ქვას ყორეში“. (გ.ბ. 149.7—9). გურულ ზღაპარში მეცერი იხსენება. მაგ., „ვაქარმა ცხენი იქვე მიამბა მესერაზე“ (ლლ. 159), ან „დვინახა, აქანაი დგანა უშველებელი შენობა, რომელსაც შემორებული აქიმფერი მესერაი, რომე რავა ჩავა შით რამე!“ (ლლ. 156). საცხოვრებელ ნაგებობას გაღვანსაც ავლებენ. მაგ., ზემომერულ ზღაპარში ნათქვამია: „ააშენოს ოდა-სარაია, გარშემო შემოავლოს გაღვანნი და მიერე გამიბედლოს სიძობა“. (ძვ. საქ. I: განყ. IV. 25).

საინტერესოა ხევსურულ ლექსში მოცემული ეზოს აღწერილობა:

შენსა კარს და საკვამსა ქარივით ვეცივთბოდი,  
 დაფანჯარულ ეზოთჲ მუჟლის კვრით ვუბობლებოდი.

(შან. 150—151.380,2—3)

დაღვანჯარული ეზო ნაგებობასთან დაკავშირებული ტერმინი უნდა იყოს. ეზოს აქვს ეზოს კარები. მაგ., კახეთის სოფ. ვაჰნაძიანში 1870 წ. ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

აღმართი ამოვიზრინე, ერთი არ დამისწვსია.  
 ეზოს კარებზე მოვედი,—ვაიმე დედავ წელსია.

(უმ. 264.492)

ანდა 1878 წელს ხევში ჩაწერილ ლექსში:

აღქ და ჩემთან წამოდი, გაღმოიარე ბანები,  
 გააღე ჯერ ეზოს კარი, შემდე ოთახის კარები.

(უმ. 319.806)

ეზოს კარს ჭიჭკარი ან ჭიშკარიც ეწოდება. მაგ., ქართლში თ. რა-ზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

კანელა ბიჭის დედაო შეჟღება კურდღელზედაო.

.....  
 გაღმოვარდება გასკდება ზედ შუა ჭიჭკარზედაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 67.321)

გურულ ფოლკლორში კი ჭიშკრის ჩასაღვალი არის მოხსენებული. „ნეფემ უჩვენა სტოლბა ჭიშკრის ჩასაღვალს:—ჯერ ეს უნდა დაანტროია“-ო. (ლლ. 257). გურულ ლექსშივე ვხვდებით ჭიშკრის კარს. მაგ.:

მიღის სიძე, შამაული, გააღენ ჭიშკრის კარია.

(ლლ. 73.95)

### 5. საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი

საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური მასალის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ბანური და ცადაქნილი. ბანური ჯგუფისა: ა) სწორად

3. ს. ბელუკაძე, საცხ. ნაგ. ხალხ. პოეზიაში

ბანი და ბ) გვირგვინიანი ბანი ანუ დარბაზი, ხოლო ცადაქნილის ჯგუფისაა: ა) საბძღური, ბ) კუნჭულიანი ანუ დახვეულ სახურავიანი და გ) ლირსიანი<sup>1</sup>. პირველი დაჯგუფებიდან ხალხური პოეზიის ნაბეჭდ მასალებში იხსენება: ბანი და დარბაზი, ხოლო მეორე დაჯგუფებიდან: ოლა, პალატი-ოლური, ქიხი<sup>2</sup>, ფაცხა, ჯარგვალა, ფანჩატი.

ბანი, როგორც საცხოვრებელი ნაგებობის გარკვეული სახეობის სახელწოდება; ყველაზედ კარგად ხვესურული პოეზიის მასალებში არის შენარჩუნებული. მაგალითად, ლექსი:

როშკას აწიწეს ციხენი, ზღოს ბანი ქვიტკირისანი.

(შან. 3.8.3)

აშკარად გვეუბნება, რომ ბანი ქვიტკირის ნაგებობაა, რის დამადასტურებლადაც, დამატებით, თვით მისივე ვარიანტის ნაწყვეტი გამოგვადგება:

როშკას ატირღეს ციხენი, ზღოს სახნი ქვიტკირისანი

(შან. 308.8 გ. 2)

აქ სახლი სცელის ბანს, როგორც სრულუფლებიანი შესატყვისობა. მაგრამ მართო ხვესურეთით არ უნდა შემოისაზღვრებოდეს ასეთი გაგება. ხევში, სტეფანწმინდაში, 1884 წ. ჩაწერილ ლექსში, ბანი პირდაპირ სახლის მაგივრად იხმარება და სახლ-კარის მაგიერ ბან-კარს ამბობენ:

ქალი ქისტი ჯგობს ხევსურსა, ვაჟი ორსოგულელი.

სამიგერად გულამაყული, თავის ბან-კარზე-სიელოი.

(უმ. 435.1602)

ხვესურულ პოეზიაში ბანი არა თუ განსაკუთრებული სახის საცხოვრებელი ნაგებობაა, არამედ საერთოდ საცხოვრებელი სახლის ზოგადი სახელწოდებაც ყოფილა. მაგ., სრულიად ახალ გემოვნებაზე აშენებულ „ეჟიმ კირილეს“ სახლსაც ბანს ეძახიან:

გამოსერნავდი შატლოსა გაქვ ატაჟიან ბანია.

გამაჟშლაგის ფორვი, სუროდ კირილე სეფანია.

(შან. 270.668,3—4)

საინტერესოა ერთი უთარილო ხალხური ლექსი, სადაც ბანი აგრეთვე მთელ ნაგებობადაა მოხსენებული:

წაიღინენ, ფხენისს მიუხტენ იმ ნიკოლოზ ღველსაო,

ბანის კარები გააღეს, სო ქვევრიც ახადესაო,

ღვინო ძლიან ღლიოეს, ძალიან ღლიოესაო.

(უმ. 81.98)

აქ თითქოს ბანი მარნის ვაგებითაა ნახმარი.

ბანი უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებული სახეობის საცხოვრებელი ნაგებობის სახურავს ეწოდება და ეს სახურავი ანსხვავებს სწორედ მის მატარებელ ნაგებობას სხვა სახის ნაგებობათაგან.

<sup>1</sup> ნაგებობათა ცალკეული ტიპების აღმნიშვნელი ტერმინები: საბძღური, კუნჭულიანი და ლირსიანი პროფ. გ. ჩიტაიას ნაშრომის მიხედვით გვაქვს აღნიშნული. (გ. ჩიტაია, საცხოვრებელი ნაგებობანი ხანის-წყლის ხეობაში. მოხსენება 1944 წ. ხელნაწერი).

<sup>2</sup> კონი ხშირად პირველ დაჯგუფებაშიც გვხვდება.

ბანის როგორც სახურავის გაგება ზღაპრებშიც და ლექსებშიც მრავლად გვხვდება. მაგ.: „ისარი დევების სახლის ბანზე მივიდა, შიგ თავეში მიიქედა, წვერი სახლში ჩააჩინა“ (ჩიქ. 92). ამას გარდა გვხვდება კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობით გაგებული ბანი. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

მაგრა ღვეტეს კარები ბანიდან ამოვყვროი,  
გვხეტე ბნელსა ღამესა, ბოსელს ვერ მივაგენია.

(ქვ. საქ. III განუ. II. 89.472)

ანდა:

სახლი რო ავიშენევი, ჩემთვის შევაბი კარია,  
ფანჯრები ღვეტანევი არ გაუწიო ბანია!

(ქვ. საქ. III. განუ. II. 166.1108)

უმეტესად კი ლექსებში მოხსენებულია ბანზე „სერნობა“ (შან. 78.187,3), ბანზე საქმობა, შაირობა, ქალ-ვაყთ შეხედრა, ერთუროთის თავის მოწონება (შან. 159.405,3) და სხვ.

ბანს აქვს ბანის გვირგვინი. ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:  
შენი სენია ჩვენცა გვეყვს,  
ბანის გვირგვინზე წვეპაო,  
ღამე გაჭვეფავს მინდორსა,  
ნადირი ევულებაო.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 64.300)

ხეცურულ ლექსში კი უშუაბან არის დასახელებული:

გუშინისა წინგართაზე შუაბანზე გეღა ჟაბა.

(შან. 159.405,3)

ამავე კუთხეში ჩაწერილ ლექსში გვხვდება ბანის წვერი.

სერნობ სირცხვილიანი გაცვიფე ბანის წვერიო.

(შან. 235.570,6)

აქ ბანის წვერი მთელი სახურავის გაგებითაა ნახმარი და ბანი კი მთლიან ნაგებობადაა გააზრებული. ერთ ქართულ ზღაპარში ბანის თავი განსაკუთრებული ადგილია სახურავზე. მაგ., „ისარი დევების სახლის ბანზე მივიდა, შიგ თავეში მიიქედა, წვერი სახლში ჩააჩინა“ (ჩიქ. 92). აქ უკვე აშკარა დაჯგუფებაა მომხდარი: არის სახლი, სახლის ბანი და ბანის თავი, რომელიც ალბად ბანის გვირგვინს უდრის.

ბანის, როგორც სახლის სახურავის აღმნიშვნელი სიტყვის მაგიერ ხშირად გვხვდება ტერმინი ერდო. მაგალითად, ერთ ქართულ ზღაპარში ასეთი ადგილი გვაქვს: „ერდოზე გადმომდგარა ქალი და ძაფს ანათავს“ (ჩიქ. 137). ქართლში ჩაწერილ ლექსში ერდოს ასეთივე გაგება აქვს:

ცოლი ლაშქარში წასულა, ქმარი ერდოზე ტლინკავსა.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 43.190)

ამავე გაგებით უნდა იყოს ნახმარი ერდო ხალხური ეთერიანის ხევიშ (სოფ. სტეფანწმინდა) 1890 წ. ჩაწერილ ვარიანტში:

ეთერი ერდოს შემოღვა, ფიცარი შესძრა, ჟავარი.

(უმ. 159.238)

ერდოს გაგების შემთხვევაშიც ხალხში აღინიშნება იმგვარივე მოვლენა, რაც კარისა და ბანის ირგვლივ; ერთი მხრივ ხდება მისი ფართო მნიშვნელობით ხმარება, მაგ.:

წააქეზე მთლად ლეკობა, გვიტყვენ ერლო-კარსაო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 239.3)

და მეორე მხრივ მისი ვიწრო გაგება:

მზეო, მზეო, გამოლი, ჩვენს ერლოში ჩამოლი,

მიანათე ბაკებსა, ცხვარს დაგიღავ მაქესა.

(სინ. 49.57)

აქ ერლო არის სახურავიდან მზის შუქის ჩამოსასვლელი ადგილი, საინტერესოა ქართლში 1870 წელს ჩაწერილი ლექსი, სადაც ნათქვამია:

შენ ლამაზო, მოგინდება ერლო-ბანზე სიარული.

(უმ. 296.616)

აქ ერლო და ბანი გაიგივებული მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

ბანს შიგნით ნაგებობის შუა ადგილას მოწყობილია კერა. ამას მესხეთში ჩაწერილი გამოცანა გვიჩვენებს: „გზივარ შვამი, არ მაქეს ფასი, დამცქერია ყველა თვალში“. (ძვ. საქ. III. განუ. II. 311.26). შემდეგ ხევში 1881 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კუთხჩი გამითნეს ცეცხლანი კერაჩი ნულარ სარო.

(უმ. 226.417)

იმერეთში ჩაწერილი გამოცანის მიხედვით კერა ზეზე ამართული მოწყობილობაა: „ყველა დაწოლილი არის, ყუნცული ზეზე არის“. (უმ. 515.1803).

კერასთან ერთად იხსენება დედაბოძიც. დედაბოძი საცხოვრებელი ნაგებობის შუა ადგილზეა მოთავსებული. მაგ., სოფ. ვაქირში ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია: „დაიწყო ახალი სახლი: აშენება, როდესაც შუაზედ დედაბოძს აკეთებდნენ... უთხრა: ამ დედაბოძში კარები გაუკეთეთ, შიგნიდან გული სულ ამოიღეთ, კარებს ჩასაკეტი ჰქონდეს და გარედან არ ემჩნეოდესო“. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 76). დედაბოძს შემოუვლის სახლში პირველად შესული ახალი პატარძალიც. მაგ., ქართლში ასეთი ლექსი გვაქვს:

სოფლის ბოლოს რომ მივიღი, სხლი ვიკითხო,

.....

დედამთილი მომეგება, ტუჩი უბრქეო,

დედაბოძს შემოუარე, ქილა გავტყეო.

(უმ. 213.387)

ლექსის მეორე ქართულსავე ვარიანტში პატარძალი კერას შემოუვლის, მაგ.:

პატარა პატარძალი ვარ

შემომატარეს კერასა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 73.354)

საკუთრივ კერა ეწოდება სახლის შუა ადგილზედ ქვებით მოწყობილ, ანდა ლითონისაგან გამოქედილ და შუა ადგილზედ დადგმულ ნაწილს, მაგ., ერთ ხევსურულ ლექსში ნათქვამია:



არცა-რა კარგი იმან ქნა, ვინც ოქრო დაღვა კერადა.

(შან. 281.706,3)

რაც იმის მაგვენებელია, რომ კერა ლითონისა შეიძლება დაიდოს, ხოლო კერა რომ დგას მიწის ზემოთ, შემდეგი ლექსი გვიჩვენებს:

მე რო მაგათ შუღლს შავესწარ, მაგათ ფარ-ქმლეობს ჯღერასა

• • • • •  
ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სხვა ეზიდების კერასა.

(შან. 226.545,21—24)

კერის ქვედა ნაწილს ყვერფი ეწოდება ხეცსურეთში. მაგ.:  
ორიოდ-სამი ჭურჭელი დაზღად ჩამადგა ყვერფშია.

(შან. 592.546.2, 22)

ხეცსურეთშივე იხსენება ყვერფ-კერა. სიკვდილი ამბობს:

დღეწერა მკარს თუ არა მჭერს, ვერ მიოდ ყვერფ-კერაზედა.

(შან. 210.520,36)

ყვერფთან უნდა ჰქონდეს კავშირი გურულ ფოლკლორში დაცულ ტერ-  
მინს ყვერფი. ერთ ლექსში ნათქვამია:

წელზე ქიღია დამაჩა, ფსარზე ნათესარი ლეკური,

თლათ დავიწყდა მძანები, იმისი ფაცხა, ყვებური<sup>1</sup>.

(დლ. 73.95)

კერაში ანთებული ცეცხლიდან ბოლი ადის აყარში. აყარი იხსენება  
ქართლში ჩაწერილ ლექსში:

ცეცხლო, ვენთო, ვენთო, ბოლო, შენ აღი აყარსა<sup>2</sup>.

(ძვ. საქ. III. გან. II. 105.618)

საბა ორბელიანის განმარტებით: „აყარი სხუენის ლატანი, გინა საკიდ-  
რისა“ არის.

კერას აქვს კერის პირი. ხეცსურულ ლექსში ასეა ნათქვამი:

გელთ გქონდან ტარ-ნამტენანი, ჩამოსჯდა კერის პირსაო.

(შან. 100.223,48)

სახლში არსებობს აგრეთვე კერას უკანა ადგილი. ქართლში ჩაწერილ  
ლექსში ნათქვამია:

ნათლიდდა გაჯავრება: „ნეტა რისთვის მიდიოდა თვალი მასაც დაუღება!“

შეიწვევენ ნათლიასა, კერას უკან დაბრძანება!

(ძვ. საქ. III. განუ. II. 33.117)

ხალხური პოეზიის მასალეებში იხსენება აგრეთვე დარბაზი როგორც ნა-  
გებობა. დარბაზი ისეთივე ბანური ნაგებობაა მისი დამახასიათებელი კერით,  
როგორც მიწური ბანი, ოღონდ მისთვის აუცილებელია გვირგვინიანი სახუ-  
რაავით იყოს მოშენებული. დარბაზს რომ ბანის მრავალ დამახასიათებელ ნა-

<sup>1</sup> ავტორის მიერ ყვებური განმარტებულია როგორც შუა ცეცხლის დასანთები ად-  
გილი სამხარეულლოში. (იხ. გურ. ფოლკლორი I, თბილისი, 1937, თანდართ. ლექსიკონი.

<sup>2</sup> „აყარი—კერის თავზე ბოძებში რომ ორი გრძელი ლატანია გაყარილი, ზედ საკიდ-  
ლია ჩამოკიდებული“. (ძვ. საქ. III. განუ. II. 105. შენიშვნა).

წილში კერა აქვს და მის პირდაპირ კვამლის ასასვლელი, ამის დამადასტურებლად შეიძლება მესხეთში ჩაწერილი ლექსი გამოგვადგეს:

ღრუბლიან ღღეს დარბაზს შინაც კვამლი არ აღის, კერას ხჩის,  
ამ წუთისოფლის ავაკარგი ბევრსა ახარებს, ბევრსაც ჭსჭის.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 265. IV)

ხალხურ მასალაში ვხვდებით ასეთ სტრიქონებს: რას თხოვნილობ?—ცოცხს ვთხოვნილობ.—ცოცხს რათ გინდაო?—დარბაზს დავხვეტაო.—დარბაზი რათ გინდაო? ყაჭ-აბრეშუმს ვაკეთებო. (სიხ. 67.103).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხურ პოეზიაში დარბაზს უმეტესად მაშინ ახსენებენ, როდესაც ხალხის სიმრავლეს უნდა გაუსვან ხაზი. მაგ., ხევსურნი ამბობენ:

დარბაზს ვისხეთი ჰეხსურნი, ღიდ გვედგა საუბარიო.

(უნ. 360.48. დ, 6)

სამეგრელოში (სენაკის მაზრა, სოფ. კლდემაღმართი) 1871 წელს ჩაწერილ ლექსშიც ნათქვამია:

დარბაზს შიგნით შემოყვანეს, ქალები ვნახე ბრევილია.

(უმ. 331.861)

დარბაზი „აზნაურებით სავსე“ (უმ. 342.983. მესხეთი, სოფ. ხიზაბავრა, 1884 წ.) ან „დარბაზისლებით სავსე“ (ძვ. საქ. III. განვ. II. 104.600. ქართლი, თ. რაზ.) და სხვა ამგვარი ძლიერ ხშირად გვხვდება ხალხურ პოეტურ გამოთქმებში.

მოგვეპოვება ცნობები მაღალი წოდების წარმომადგენელთა დარბაზების შესახებ. მაგ., სასახლესთან ერთად იხსენება სადარბაზო. ქართლში თედო რაჭიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

სასახლე და სადარბაზო ედგა ოქროს ბოქმებზედა.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 35.119)

დარბაზი უნდა იყოს ლამაზად აგებული. დამწუხრებულ ეთერს გამზიარულების მიზნით სთხოვენ ნახოს მისი დარბაზი თერმუხანის აგებული (უმ. 159.238). ხევში ჩაწერილ ლექსში იხსენება დიდი დარბაზი და კარნი დიდისა დარბაზისანი.

გათუნდეს, კარნი გვეხენეს დიდისა დარბაზისანი,

გავიდინენ, გაიბურთევენ, ბურთი ვერავინ გაილა.

(უმ. 556.50. ბ და გ)

ხალხურ ეთერიანში არის ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც დარბაზი ქვემოთ არის და ჩარდახი მაღლა. მაგ.:

ღაფაგლებ ჩარდახობასა, ჩამოვალ დარბაზობასა.

(უმ. 158.238)

აქვე უნდა ვახსენოთ ბანის ბანი სახლი, რომელიც განსაკუთრებული ხასიათის კეკლუცი შესახედაობის ნაგებობაა. იგი იხსენება კახეთში ჩაწერილ გამოცანაში სამოთხის შესახებ:

მამამან სახლი ამიგო, კეკლეუცი ბანის ბანიოა,  
გრძელი და ცამის მალაოი, სიგრძე და მისი განიოა,  
შაველ, გამოველ სიცილიოთ, სიმღერიოთ, ბანის ბანიოთ,  
ის დამოქცია სატანამ, მე ვარ მას აქეთ ნანეიოთ.

(უმ. 527.1965. კახ. 1871 წ.)

ვარიანტებში დამატებით იხსენება: ა) დილია ცამდინ მალალი და ბ) მამან სახლი ამიგო მალალას ბანის ბანიოთა.

გვაქვს ქართლში ჩაწერილი ლექსი:

მე ბანი ბანად გადმოვევ, გადმოგიხედ სვეტად,  
მე, ტურაფე, შემშვენიერე, თქვენს ამხანაგად შეწადა,

(ძვ. საქ. III. განუ. II. 124,807)

სადაც „ბანი ბანად“ სწორედ ბანის ბანს შეიძლება ნიშნავდეს, სვეტებით აგებულს, მაგრამ ეს ლექსი უნებურად გვაგონებს ადგილს ხალხური ეთერიანიდან: „მე ბანი ბანად გეძებდი შენ ბალი ბალად გეძინა“, სადაც ბალი ბალჩას მსგავსად შეიძლება ტერმინის გაორმაგება ვიგულისხმოთ, თუმცა არც აქაა გამორიქული შესაძლებლობა, რომ პირველად იგი სწორედ ბანის ბანი სახლის გაგებით ყოფილიყო მოცემული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასახლესაც ბანიანი სახურავი აქვს ზოგიერთი ზღაპრის მიხედვით. მაგ., სოფ. ვაჭირში ჩაწერილ ზღაპარში ვკითხულობთ: „ზღეაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლად ბრწყინავდა... გააკეთებინა კიბე... ხელმწიფის შვილი ავიდა ბანზედ და დიწყო წინ და უკან სიარული. ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 63.64).

ამავე კუთხეში ჩაწერილ ზღაპარში ხელმწიფის შვილი თავის სასახლეს დედაბოძს უკეთებს (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 76—77).

საცხოვრებელ ნაგებობათა მეორე ჯგუფი, რომელიც ბანური სახურავით წარმოდგენილ ნაგებობათაგან ძირითადად განსხვავდება ცადაქნილი სახურავით ხალხურ პოეზიაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახელწოდებებით: ძელური, ოდა, პალატი, სასახლე, ქოხი, ფაცხა, ჯარგვალა და სხვ.

ძელური როგორც საცხოვრებელი ნაგებობის სახელწოდება ზემო იმერულ მასალებშია წარმოდგენილი. მაგ., ერთ ზღაპარში ნათქვამია: „მთვარიანია შექი შემოდის ძელურის საფაფურიდან და ნაპრალეზიდან“ (ძვ. საქ. I. განუ. IV. 52).

გურულ ფოლკლორში ძელის სახლი იხსენება:

ელისავო-მეღოსავო, სახლი დავღვი მეღოსავო,  
შითა რმალი შევიფანე ბენიერი ფეხისავო.

(ღლ. 30,61)

კარგი სახლის აღმნიშვნელად გურულ ფოლკლორში ოდა იხსენება, მაგ., ერთ გურულ ლექსში ნათქვამია:

უბელურო ჩემო ცხენო, მერჩიე თელ ამ სოფელსა,  
ფაცხაში რო დავამზიდი იგი იფო შენი ვოდა.

(ღლ. 131,131)

ოდა იხსენება რაჭაში (სოფ. ღები) 1871 წ. ჩაწერილ ლექსშიც:

ოდაში რომ პირს ღვიბან, გამოხვალ მზესა გავსარო.

(უშ. 295.608)

ზემოიშვებულ ლექსში იხსენება სახლი პალატი-ოდური. სოფ. წე-  
გაში სევ. ვაჩხილაძის მიერ ჩაწერილია ასეთი ლექსი:

მელანო, ჩემო მელანო, ნუ ხარ ჩემი ორგულიო!

სახლი აგვეშენებოს, ქვეშ პალატი-ოდურიო<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. I. განუ. IV. 86.36)

საუკეთესო ნაგებობაა ოდა-სარაია. მაგ., ზემოიშვებულ ზღაპარში  
ნათქვამია: „ააშენოს ოდა-სარაია<sup>2</sup>, გარშემო შემოაელოს გალავანი და მერე  
გამიბედოს სიძობაო“. (ძვ. საქ. I განუ. IV. 25).

სასახლე მაღალი წოდების წარმომადგენელთა საცხოვრებელია. მაგ.  
ერთი ხევსურული ლექსი ამბობს:

ბატონო შენი სასახლე შედგავ ქალაქის ქუჩასა.

(შან. 280.695,1)

სასახლის აღმნიშვნელი ტერმინია პალატიც, მაგ.:

ყაართოს იყო ერთი მზე ზრწყინვალე მანათობლათ,

• • • • •  
რძლათ მოიწოდა მეფემან პალატის შესამკობელათ.

(უშ. 104.160)

ანდა: „ამასობაში ისინი მივიდნენ მეფის პალატაში“ (სიხ. 187).

სასახლის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე სარაია:

იოპა თქვა: „გმადლობ ღმერთსა, ჩემ სასახლეს არა სჭირს რა“!

მერმე წვეული ეშმაკი სარაის შეებრმვისა,

ოქროს სვეტი გააცალა, სარაია დასცა ძირსა,

„იოპ, ღმერთ რათ არ ამატებ, სარაია სულ დაიქვა.

(უშ. 142.219. ქართლი, სევი, რაჭა,

იმერ., კახ., 1863—1875 წ.წ.)

ანდა:

გოსტიბეს კვირიაშვილი აშენებს სარაიას,

ბერიაცოც, ცოლი მამე, ჩავიცმევ ღარაიას!

(ძვ. საქ. III. განუ. II. 168.1113)

ამბობენ აგრეთვე ოდა-სარაიას. ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში  
ნათქვამია: „გადმომდგარიყო სასახლის ღერეთანზე და იქიდან უკვირდებოდა  
გალმა სერში ამართულ მშვენიერ ოდა-სარაიას და მის ოქროს გალავანს“.  
(ძვ. საქ. I. განუ. IV. 25—26).

ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ლექსში სასახლე და ქარვასლაა მოხ-  
სენებული:

<sup>1</sup> პალატი—ძირა სართული; ოდა—ფიცრული კარგი სახლი; პალატი-ოდური—ორსართულიანი კარგი სახლი. (ძვ. საქ. I. განუ. IV. 86.36. შენიშვნა).

<sup>2</sup> ოდა—სახლი; სარაია—სრა, სასახლე (ძვ. საქ. I განუ. IV.25. შენიშვნა 3).



სომის ძირს ლუქან გამართა, სუ მუღამ მუშტარ მოღისა,  
 შიგ ოროდ დასლიდარი ჰყავ, წკაპი-წკუპი ღვა ჩოთქისა,  
 სომს სასახლეებს უქებენ, ქარვასლეებსა სეფობისა.

(ძვ. საქ. II. განყ. IV. 340.37)

1871 წელს ხევში ჩაწერილ ლექსში კი ქარმა სრა არის ნახმარი:

სემწიფის ტახტზედ გაზდილი, პაბალოკონიკი შთისაო,  
 ბევრი ეგეთი უხდია ღვით სვამონის შეილსაო,  
 ნიკოლოზიც კარგი ჰყავ, აშნირებელი მტრისაო,  
 კარს გალაგნები მაივლა, ქარმა სრა მაგის პირსაო,  
 გარშაშო ფანჯარაები, სანათოპელი მშისაო.

(უმ. 64.70)

სასახლის განსხვავებული სახელწოდებაა არამი, რომელიც მხოლოდ დედოფლის სამყოფი ნაგებობა ჩანს. ერეკლე მეორის შესახებ გამოთქმულ ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ფეიქრის ცოლი დედოფალმა იქ დაიბარა თავის არამში,  
 ფეიქრის ცოლი რომ შეიყვანეს, ქვეშ გაუშალეს მასთაქ ნაბადი.

(უმ. 103-158. უთარილო).

ხალხურ ლექსებში: ქოხი, ფაცხა, ჯარგვალა და ფანჩატი იხსენება. ერთი მოხვეური ლექსი ამბობს:

საწული კაცის ცხოვრებას რად უნდა ბევრი სრიალიო,  
 ერთაი ქოხი მიწური და ერთი კოკა წყლიანიო.

(გომ. 72)

ანდა:

ყანა მაქვ ნადარბასეგვა, შიგ ქოხი გამავთხარეო.

(გომ. 14)

მიწურ ქოხს თუ გამოთხრა უნდა ხის ქოხს ჩადგმა უნდა, მაგ., ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

მანგლისს აქებენ საქმელსა, ქოხები ჩავდგათ ხისაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 20.94)

ამავე ჯგუფში უნდა მოვიხსენოთ ძეგლური ქოხი. ზემოიშვრულ ზღაპარში ნათქვამია: „ეგვიდა მზის დედის ძეგლურ ქოხში“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 4). იხსენება აგრეთვე წნულის სახლი. ერთ-ერთ ზღაპარში გვაქვს: „იყო ერთი კაცი და დედაკაცი...ძალიან ღარიბები...ქონდათ ერთი ძველი წნულის სახლი“. (სიბ. 161). წნულის სახლს იხსენებენ კჳონია. კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

წნულის სახლი გაავაეთი, ზედ დამიწვევია იხნები<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 216.99)

ლექსებში იხსენება ალიზის სახლი. მაგ., ქართლურ ლექსში დაცინიან გომელებს:

<sup>1</sup> იხნი—საგვერდულის ხეები (ძვ. საქ. III. განყ. II 216. სქოლიო).

გომილებო თქვე პლუტებო  
სახლი გეღათ ალიზისა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 88, 465)

გვხვდებო ტერმინი დაქოხნებაც ხეცსურულ პოეზიაში:  
აღარს არ გაგაწუწუნებ, ჩემს ნახადს დაგიქოხნებღი.

(შან. 162.423,3)

ფაცხა უბრალო ნაგებობაა. გურულ ლექსში ნათქვამია:  
მათ სადგომ სახს შეადგენდა უბრალო რამ ფაცხა ძველი.

(ღლ. 140.141)

ფაცხას აქვს ფაცხის საჩინავი. ერთ გურულ ზღაპარში გვაქვს:  
„ზინავს ამ ვაჭარს და ხედავს რომ მოფრინდნენ ანგელოხნები და შამოყდენ  
ფაცხის საჩინავზე“ (ღლ. 159). ხოლო სხვა ზღაპარში ნათქვამია: „ლონდ  
გამათევიე ღამე და თუ გინდა სახლის საჩინავში<sup>1</sup> გვათევე ამ ცხემლის ქრა  
სალამოს“-ო. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 48—49).

ფაცხის ნაწილია აგრეთვე პარმახი. მაგ., „ჩემ ფაცხაში მე და ჩემი ქა-  
ლი ძვილათა დავტულვართ და შენ სალა დავაწვინოვო...პარმახში მინც დავ-  
წობი და ნუ მეტყვი ვარსაო“. (ღლ. 159). სხვა გურულ ზღაპარში პარმალი  
ჯირგვალა სახლის ნაწილია. მაგ., „ჯარგვალას პატრონმა უთხრა: პარ-  
მალში თუ გაათევე ღამეს, თუარა ისთე არ შეიძლებაო“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 48).  
ფაცხას აქვს აგრეთვე ყვებური, რომლის შესახებ ზემოთ ითქვა. (იხ. კერა.  
ყვერფი).

ხალხურ ლექსებში იხსენება აგრეთვე ჯარგვალა. იგი ყოველთვის რა-  
ღაც საცოდავი სახითაა მოცემული: „პაწა ჯარგვალა“, „დანტროვილი ჯარ-  
გვალა“ და სხვ. მაგ.: „ტყეში შევიდა და პაწა ჯარგვალაი დენახა“, (ღლ.  
201), ანდა: „ედვა ერთი დანტროვილი ჯარგვალაი<sup>2</sup>, რომელსაც აქიდან-იქი-  
დან მიყუდებული ქინდა ბიჯები, რომ ქარს არ წიქცია“. (ღლ. 149), საყუ-  
რადლებოა გურული ზღაპრის ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც ჯარგვალა  
საქმლის დასამზადებელი ნაგებობაა. აქ ნათქვამია: „მე უნდა წვიციე ძალიან  
შორე და სავძალი მომიმზადეო. ქალმა ჩევიდა ჯარგვალში<sup>3</sup> და ჩაადლო კვე-  
რი, გამოალო უხანდარას კარი და გამოილო ყველა“. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 43).

ჯარგვალას ნაწილია აგრეთვე ჯარგვალის ლოჯე. მაგ., გურულ  
ზღაპარში ნათქვამია: „რდამდებოდა და ააყუდებდა სამ ვოყიან თოხს ჯარ-  
გვალას ლოჯესთან<sup>4</sup>, შიადებდა კარფეს, მუანთებდა ცეხლს. გამეიტანდა ვო-  
ხანდარაიდან ცივ ქაყ და აცუქცინდა თებზის კუც“. (ღლ. 275). ლოჯეს

<sup>1</sup> საჩინავი—ზევითი მხარე ისლით დახურული სახლისა, უმაღლესი ნაწილი სახლის სა-  
ხურავისა. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 49, შენიშვნა).

<sup>2</sup> ჯარგვალა—ხის მორებისაგან აშენებული ქოზი (დასახ. ნაწარმის თანდართ. ლექ-  
სიკონი).

<sup>3</sup> ჯარგვალა—გურული სამხარეული სახლი, უფრო მრგვალი ხეებიდან აშენებული (ძვ.  
საქ. დასახ. გვერდის სქოლიოში).

<sup>4</sup> ლოჯე—ერთმანეთში ჩაშენებული ძელების კუთხედია ფიცრულ სახლში. (დასახ. ნაშ-  
რომის თანდართული ლექსიკონი).

აქვს ღოჯის თავეი მაგ., „ამის გამგონე ბერკაც გადააიწყტა ხელის ტკივილი, დაუდენ ღოჯის თავეზე და...ღვიწყეს ლაპარაკი“ (ლლ. 259). დაზიანებული ჯარგვალას შესაკეთებლად ბიჯგები იხმარება. (ლლ. 149).

ნაგებობის აღმნიშვნელია აგრეთვე სახლი ფანჩატი. ფშავურ ლექსში აღნიშნულია:

სახლი გედვას ფანჩატიო, შიგ რამ გედვას ფარსაგო (გამოსადეგო).  
(მგ. საქ. II განუ. IV. 346.83)

საბა ორბელიანის განმარტებით ფანჩატური ფოთლის დერეფანს ნიშნავს (ლექსიკ.).

ხალხურ პოეზიაში იხსენება სახლსამყოფის განსაკუთრებული ხასიათის ნაგებობანიც: კოშკი, ჩარდახი და კარავეი.

ხალხური პოეზიის მასალების მიხედვით კოშკში უმთავრესად შიშინობის დროს ცხოვრობენ. მაგალითად, ქართლში სოფ. საწიხურში 1870 წელს ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

სახლ-კარი მომართული გაქვს, კოშკი გიგვია სისაო,  
ახვალ და შიგ დაიძინებ [არ გეშინია] მტრისაო.  
(უმ. 65.72)

კოშკი არის ხისა ან ქვის მასალით ნაგები მაღალი შენობა. ქვის კოშკი კირითაა ნაგები და აქვს კიბიანი გზა ასასვლელად.

კოშკი საქართველოს ყოველი კუთხის ხალხურ პოეზიაში გვხვდება. მესხეთში „ვინმე მესხის“ მიერ ჩაწერილ გამოცანაში ციხე-კოშკის შენობა იხსენება.

ციხე-კოშკის შენობასა ოთხი ღვას და ერთი ურბუნს.  
(მგ. საქ. III. განუ. II. 309.20)

მაღალი კოშკი იხსენება მესხეთში სოფ. ხიზაბავრაში 1888 წელს ჩაწერილ ლექსში:

იღუმლის კოშკიო მაღალიო, სასეიროზედ ღვასარო.  
ქვეუ ქალნი მოგისხდებიან, ჩრდილო, სათკენაც წასვალო.  
(უმ. 391.1181)

არსებობს თლილი ქვითა და მარმარილოთი ნაგები კოშკები. მაგ., მოხევურ ლექსში ნათქვამია:

იქ სამ ერთი კოშკი იდგა ანაგები თლილი ქვისა.  
(გომ. 63)

ხოლო ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კოშკი ხარ მარმარილოსი, მძიმეთ ნაგები კირითა,  
(მგ. საქ. III. განუ. II. 124.804)

ანდა:

კოშკი ღვას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია,  
აღმასის კიბე წინ უდგა, ასვლა ჩამოსვლა ძნელია.  
(მგ. საქ. III. განუ. II. 189.1266)

საინტერესო ცნობას გვაძლევს კოშკის მოყვანილობის შესახებ ერთი ზღაპარი, სადაც ნათქვამია: „ბიჭმა ბოლოს დაინახა კვერცხივით მრგვალი კოშკი“.  
(ჩიქ. 133).

კოშკს წვერში ჩარდახი აქვს. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კოშკი ღვას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია,  
აღმასის კიბე წინ უდგა, ასვლა-ჩამოსვლა, ძნელია,

სულ ერთიანად გაჭწყვიტა, რაც გალავანში ერია,  
ისე ავიდა ჩარდახში, არ დაეკარგა ფერია,  
მივიდა, ლერწამ-ღარეჯანს ზედ გადაჭყვია სელია.

(ქვ. საქ. III. განუ. II. 189.1266)

კოშკს გარს გალავანიც ჰქონია შემოვლებული. მაგ.:

სურაბ მჭედომი კოშკსა გვანდა, გარს რო ევლო გალავანი.

(უმ. 12.9)

ანდა:

ააგო სურამის ციხე, ცათამდინ აიტანაო,

გარს გალავანი შეავლო, კოშკები დატანაო,

(უმ. 178.288. შესწოთი. სოფ. უღე, 1889 წ.)

ციხის კოშკები ხევსურულ პოეზიაში გვხვდება ხშირად (შან. 474.227 გ. 2 და სხვ.) და იგი საბრძოლო ციხეების ნაწილს შეადგენს, ამიტომ მათი განხილვა სამხედრო ნაგებობათა შესწავლის ფარგლებში შედის.

კოშკი საცხოვრებელ ნაგებობასთანაც იხსენება და სამხედრო დანიშნულებსაცაა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ე. წ. ჩარდახის მიმართ, იგი საცხოვრებელ სახლებსაც აქვს და ციხეებსაც. ჩარდახის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა მაღლად ნაგებობა. მაგ. კახეთში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

ქარი ქრის, ქარი შიშინებს, მაღლა ჩარდახსა ბერავს,

შეა ზის ქალი ლამაზი, შავი პერანგსა ჰკერავს.

(უმ. 399.1275)

მაღლა ჩარდახში ცხოვრობენ ეთერი, ლერწამ დარეჯანი. მაგ., ეთერი ამბობს:

დავადგებ ჩარდახობას, ჩამოვალ ღარზობას.

(უმ. 158.235, 1870 წ.)

აქ ჩარდახობა მრავალი ჩარდახის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ერეკლე II-ის შესახებ გამოთქმულ ლექსში ნათქვამია:

შემდეგ ამაზედ ჩიოდა: დაწე სიკვდილის ეამსაო,

მიკარქამს თფილისის ქალაქს, ქართლსაც მიძლევენ სხვასაო,

ველარც დავჯდები ჩარდახზე, ველარც დავწეღამ მტკვარსაო.

(უმ. 565. 163 ე)

ვაჭართა კლასის წარმომადგენელიც მაღლა ჩარდახში ნებივრობს. 1871 წ. ფერაძის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:



შავხელე გურქ ალასა, მალლა ბრძანღბა ჩარღანსი,  
ცეცხლივით შემოურბინე, შიგ ჩამოვაგლე სარღაფსი.

(უმ. 224.415)

ჩარღახი ლამაზი ნაგებობაა. ზემო იმერეთის სოფ. წვევაში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ნეტა რა არის მისთანა: ამაჲვალე მზისთანა,  
წვალში რო ფენი უღვია, იმ ოქროს ჩარღახისთანა<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. I. განყ. IV. 62.9)

ამ ლექსიდან ჩანს რომ ჩარღახს ფეხები აქვს და იგი დამოუკიდებლადაც შეიძლება იქნას აგებული (წყალში უღვას ფეხები). ჩარღახის ფეხები ამირანის თქმულებაშიც იხსენება:

ზევით რას ერჩი სპილოსა, ქვევით ღაუშეი რბილოსა,  
ჩარღახს ფეხები შეაქერ, მაშინვე მიაწვინოსა,  
(ძვ. საქ. III. განყ. II. 228,188. კახეთი. თ. რაზ.)

ამავე ლექსის მეორე ვარიანტში ჩარღახის ბოძები იხსენება. (უმ. 9.8. კახეთი, ლავრ. მათიკაშვილი. არის აქვე ვარიანტებიც 1871 წ. ფერაძის მიერ ჩაწ. და 1878 წ. ხევში ჩაწ.). ილია ჭავჭავაძის მიერ სოფ. კარღენახში ჩაწერილ ლექსში ყ ა ვ რ ი თ დ ა ხ უ რ უ ლ ი ჩ ა რ ღ ა ხ ი იხსენება. მაგ.:

ცა წითლად, ყვითლად ელავდა, სეტყვას ისვროდა ქვისასა,  
თავზედ მაქცევდა ჩარღახსა, ღანჯურულ ფავრისასა.

(უმ. 207.358)

ჩარღახი სანატრელი ნაგებობაცაა. კახეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ნეტავი ნატვრა მანატრა, ნატრული ამიცხადაო,  
ოქროს ჩარღახი ღამიღვა, გარს მინა შემოარტყაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 226.175)

ოქროს ჩაღდაყზე ლაპარაკობს აჭარის სოფ. ხუტუბანში ჩაწერილი ლექსიც:

ოქროს ჩაღდაყსა დაგიღვამ, თეთრი ირმისა ღვეისასა,  
ზეცურას გაღმოგიკილებ, სასმელსა ცხენის წულისასა.

(უმ. 309.724)

საინტერესოა ტერმინები „თეთრი ირმის ღვა“ და „ზეცურა“, რომელიც აქ ჩარღახის მასალად და შემადგენელ ნაწილად არის დასახელებული. ციხესაც ჰქონია ჩარღახები. ხევსურულ ლექსებში იგი ხშირად იხსენება.

მაგ.:

უწინ რომ მდგარან ციხენი, ცას მისღენია წვერია.  
ჩარღახთი (თ) გარღატეული შიბი ცხრა-კეცი გქელიო.

(მან. 574.541. გ, 3—5)

<sup>1</sup> ამ ჩარღახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში რიონის პირად ვაყების გიმნაზისთან (ძვ. საქ. I. განყ. IV. 62, შენიშვნა).

ანდა:

ციხე ყოფილას ცხრა-თვალი, დახედულ მშვენიერია,  
გვერდებზედ სქონდეს ჩარდახნი, კუთხებზე სათოფენია.

(შან. 222.541,4—5)

ციხის ჩარდახიდან მემორები მტერს იგერიებენ. მაგ.:

ასიელს თეთრსა ცინესა ჩარდახი ჩამანდისაო,  
შიგა ზის უუქიაური, თავს ცეცხლი გალანდისაო.

(შან. 44—113,1—2)

თუშეთში ჩაწერილ ლექსშიც მემომარი ჩარდახიდან ომობს:

მამა აღვიძებს გარასა: სოფლად ჩამოვიდ ჟვარო.  
წამოდგებ კენუს გარაი, ჩარდახებმ უექმნეს ჩქამიო;  
გამოულიშნა რომელსაც, იმ წამსვე დასცა ძირსაო.

(ძვ. საქ. II. განუ. V. 36,59)

ყოველივე ზემოთქმულის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ჩარდახი ურმის გადასახურავ მოწყობილობასაც ეწოდება. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ვკვებქს:

ჩარდახიანი ურეში ზედ კარებზედ გამოგორა,  
ჩაუყდები და გავყვები, თუნდა იყოს თათრის შოლა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 49.232)

ამგვარსავე ჩარდახზე უნდა იყოს ნათქვამი იმავე კუთხეში ჩაწერილ ლექსში:

ჩავიარე ბაზარშია, ქალი იყდა ჩარდახშია,  
ქალსა ვაშლი გადაუგდე, ქალმა ვაშლი არ ინლომა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 169.1117)

ღრობით საცხოვრებლად მგზავრობის დროს „იქნება ეს ბრძოლა, ნადირობა თუ სხვა რამ, გამოიყენება კარავი. იმერეთის სოფ. ფარცხანაყნებში ასეთი გამოცანა არის ჩაწერილი: „სახლი დავდგი უსაძირკვლო, ხან გახსნილი, ხან შეკრული, ხან მგზავრი და ხან დებული“. (უმ. 503.1645).

კარავი კეთდება სამგზავროდ მოსახერხებელი მასალისაგან, უნდა შეიძლებოდეს მისი დაკეცვა და შეკვრა თან წასაღებად. როგორც ჩანს კარავი უფრო მეტად ბამბის ქსოვილისაგან კეთდებოდა და ამიტომ ხშირად „ბამბის კარავი“ იხსენება. მაგ., სენაკის მაზრაში 1871 წ. ჩაწერილ გამოცანაში ბამბის კარავი ასეა დახასიათებული:

თეთრი ვარ, თეთრი, მინდორზე თეთრად გაღმოვეფინები,  
ღრო მომივა იმისთანა, ცხენზე გაღმოვეყიები.

(უმ. 503.1643)

იხსენება სხვა ფერის კარავებიც: მაგ., გამოცანაში ნათქვამია: სახლი მწვანე, უსაძირკვლო...წითლად ყვითლად მორთულია. (უმ. 503.1646. ქართლი, 1872 წ.). კარავი მალდიდგან გარდმოხატულიც შეიძლება იყოს. მაგ.:

ვისია მწვანე კარავი, მალოდგან გარმოსატული,  
ლეთისა და მისი ნებისა მთვარე სარ გამოსატული.

(უმ. 354.1085. სენაკის მაცხარ, 1871 წ.)

იხსენება წითელი (უმ. 402.1296. ქიზიყი, სოფ. ანაგა, 1875 წ.) და  
ფორუზის კარავი (უმ. 247.458. თბილისი, 1859—60 წ.წ.), აგრეთვე  
დიდი კარავი (უმ. 256.476. გურია) და კარვის კარავი. მაგ.:

წითელს კარვის კარავს ფარა მიეგლო ქარსა,  
შიგ მზე დახნელებულიყო, მთვარე აურიდა შექარსა.

(უმ. 402,1296. ქიზიყი, ს. ანაგა, 1875 წ.)

ამავე ლექსიდან ირკვევა, რომ კარავს აქვს ფარდაც, სხვა ლექსში იხსე-  
ნება აგრეთვე კარავის სვეტი:

ავლაპრის ბაზარს ჩამოსდა, ადგილი უებარია,  
ღაცა და ღაცა კარავი, სვეტი ოქროსი მფავრია.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 197.4. კახეთი. თ. რაზ.)

ხეცურულ პოეზიაში კი კარავის ბოძებს ახსენებენ, მაგ.:

ბასტრიონს კარავის ბოძებს, მევსურებ ვმლითა სჭრიანო.

(შან. 324.24. დ. 13)

კარავს აქვს კარავის კარიც, რომლის შესახებ ისევ ხეცურულ ლექს-  
შია ნათქვამი:

სად იყვა თუში სვილები მევსურებ კარავს ჭრიანო,  
ნადირაის ვმლის ნამტვრევი კარავის კარში სჭრიანო.

(შან. 9.24.12—13)

კარავის სადგომად გამზადებას ეწოდება კარავის დაცემა. მაგ., ქარ-  
თლში ჩაწერილ ლექსში ასე გვაქვს:

შვიდგანვე დასცეს კარავი, შვიდგანვე მაიღხინესო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 100.563. ქართლი. თ. რაზ.)

ხეცურულ პოეზიაში ამ პროცესს კარავის დადგმას ეძახიან (შან.  
37.65. გ. 2).

საცხოვრებელი ნაგებობების ის მრავალფეროვანი და მდიდარი სახეობანი,  
რომელიც წარსულსა თუ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში მოგვეპოვება,  
ზემოთ ჩამოთვლილი ქართული ლექსის ჩარჩოში მეტად შეკუმშულადაა წარ-  
მოდგენილი. ამჟამად საგანგებო ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ხალხურ  
მშენებელ-ხელოსანთა ცოდნის დიდი მარაგი არის გამოვლენილი და აგების  
ხერხებისა, ასაგები მასალისა და ნაგებობის ყოველი ნაწილისათვის შესატყვისი  
ხალხური სახელწოდება არის დადგენილი, რომელთა გამოქვეყნება ქართული  
მშენებლობის ხელოვნების მრავალ გაურკვეველ საკითხს მოფენს ნათელს.

## ტერმინთა სპიობელი

- აგება 13  
აგება დულაბით 13  
აგება ლამკირით 13  
აგება ქვიტკირით 13  
აგების კელი 1  
აგური 9, 10, 11  
ადგილი 16  
ადლი 8  
აელეება ღობის 32  
ალაგი 16  
ალაგური 9,11  
ალვის ხე 12, 13  
ალიზი 9,11  
ალიზის სახლი 41, 42  
ალმასი 9  
ალმასის დერეფანები 21  
ალუბალი 12  
ამყოლი კარების 32  
არამი 41  
აფრა 19  
აყარი 37
- ბალაგერი 10, 23  
ბაკე 32  
ბანი 19, 25, 30, 34, 35, 36  
ბანის ბანი 38,39  
ბანის გვირგვინი 35  
ბანის თავი 35  
ბანის კარები 34  
ბანის წვერი 35  
ბან-კარი 17, 34  
ბანი ქვიტკირისა 34  
ბარი 5  
ბასრის ქვა 9  
ბაქანი 22  
ბერძენთა კელი 1  
ბერძნებული 1  
ბერძნის ჩაქუჩი 1  
ბინა 16  
ბიჯგები 43  
ბნელეთი 31  
ბნელური სახლი 31  
ბოლები 13  
ბოძი 38, 45
- ბროლი 9,10  
ბროლ-მარილის ქვა 9  
ბუზარი 25  
ბუზრის პირი 26  
ბელელი 31,32
- ბალაგანი 11, 17, 21, 32, 33  
გალაგანში კოშკების დატანება 44  
გალესვა 17  
გამაგრება ქვიტკირისა 13  
გარეთა 28, 29  
გასაყარი 21  
გვირგვინი 35  
გვირგვინიანი ბანი 34  
გონი 10
- ღარანი 21  
დარბაზი 34, 37, 38  
დარბაზობა 38  
დასახლება 16  
დატალახვა 14  
დაფანჯარული ეზო 33  
დაწენა წნელით 32  
დახურვა 9,45  
დურგალი 2  
დულაბი 13  
დედაბოძი 21, 36, 39  
დერეფანი 18,21  
დერეფნიანი სახლი 20  
დვირო 20
- ეზო 32  
ეზო დაფანჯარული 17  
ეზო-კარი 17  
ეზო-შიდამო 17, 32  
ეზოს კარი 33  
ეკალდამაი 15  
ერდო 35  
ერდო-ბანი 36  
ერდო-კარი 17, 36  
ეჩო 6
- ვოდა 39  
ვაით სახლი 1, 27  
ზემო თავი 28



- ზემო თვალი 29  
 ზემოთ ყურე 29  
 ზესზენი 20  
 ზეცურა 45  
 ზღუბლი 14, 22  
 ზღუდე 22, 32  
 ზღურბლი 22
- ოჯი სახლისა 19, 28  
 თავზე 20  
 თარო 21,25,26  
 თარო-კედელი 26  
 თახჩა 26  
 თვალი სახლისა 27, 29  
 თლილი ქვა 43  
 თუთის ხე 12
- იატაკი 18,19,20  
 იხნი 41
- ცაკალი 12  
 კალატოზი 2, 5  
 კალთს კარი 21  
 კარავი 43, 46, 47  
 კარავის დაცემა 47  
 კარავის კარი 47  
 კარვის კარავი 47  
 კარავის სვეტი 47  
 კარაპანი 21  
 კარები 14, 33, 34, 36  
 კარების ამყოლი 32  
 კარების შეგმა 32  
 ბარების კეტი 23  
 კარი 1, 13, 18, 20, 22, 24, 25, 32, 38  
 კარი (ბან-კარი) 34  
 კარი (გხო-კარი) 17  
 კარი (გრდო-კარი) 36  
 კარი (სახლ-კარი) 17  
 კარი ეხოსი 33  
 კარი კალთსი 22  
 კარი კარავის 47  
 კარი საკემის 24  
 კარი სამრელოსი 31  
 კარი ქალაქის 18  
 მარი ყორისა 33  
 კარი ჭერხოსი 22  
 კარი ოჯახის მცავი 2  
 კარია 32  
 კარის თავი 23  
 კარის პირი 16  
 კარის ყუნწი 23
- კარძელი 22  
 კარწინ 12  
 კედა 23  
 კედელი 18,26  
 კერა 36,37,37  
 კერა (ყვერუ-კერა) 37  
 კერას უკან 37  
 კერის დადება 37  
 კერის პირი 37  
 კეტი 23  
 კვერი 5,6  
 კიბე 2,12  
 კირი 10, 14, 17  
 კლდე 9  
 კლიტე 23  
 კოწკი 10, 11, 43, 44  
 კოშკის კიბე 43  
 კოშკის ჩარდახი 44  
 კრამიტი 11  
 კუთხე 28, 29
- ლამი 14  
 ლამ-კირი 13, 14  
 ლარი 7  
 ლაფი 13, 14  
 ლესვა 14  
 ლესვა რძით 14  
 ლიბო 14  
 ლოდი 10, 23
- მარილის ქვა 9  
 მარილის ქვა 9  
 მარმარილო 9, 10  
 მასალა 2  
 მაშხალა 12  
 მერჩი 20  
 მესერი 32, 33  
 მეყავრე მუშა 12  
 მიდამო 17  
 მინა 15  
 მისხალი 8  
 მიწური 9, 11  
 მიჯნა 16  
 მოაჯირი 22  
 მორი 12  
 მოსაქმელი 2  
 მოფარგელა 7  
 მოჭედა 14  
 მტკაველი 8  
 მუშა 12  
 მუხა 12

- ნაგები 1,9,10  
 ნათალი 11  
 ნამორი 12  
 ნაპარტახალი 17  
 ნარყი 10  
 ნაფოტარი 12  
 ნაფოტი 12  
 ნაშენობა 1  
 ნაძვი 12,13  
 ნიჩაბი 5
- (ქ.და 34,39  
 ოლა-სარაია 21,40  
 ოსტატი 2,5  
 ოყა 8
- პალატა 40  
 პალატი 39,40  
 პალატი-ოდური 40  
 პალო 7  
 პარმადი 21,42  
 პარმახი 21,42  
 პინა 8
- რვალი 15  
 რკინა 14  
 რძით პირის მოლესვა 14  
 რიყის ღორლი 10  
 რცხილა 12
- საბელი 8  
 საბნელო 30,31  
 საბნელოში დაჯდომა 31  
 საბოსლო ქოზი 31  
 სადარბაზე 38  
 სადგომი 17  
 საეკურო 13  
 საზამთრო სახლი 32  
 საზომი 8  
 საკვამი 24  
 საკემის კარი 24  
 საკლიტე 23  
 საკმი 24  
 საკომი 24  
 საკომლე 24  
 სალი ჭვა 1,9  
 სამრელო 13,30,31  
 სამყოფი 16  
 სამყოფო 16  
 სანგრეველი რკინის კეტი 5
- სანთიობო 30  
 სარაია 40  
 სარდაფი 45  
 სარი 12, 32  
 სარკე 15  
 სარკმელი 15, 18, 22, 24, 25  
 სართული 28  
 სარჩხინავა 42  
 სასახლე 10, 11, 38, 39, 40  
 სასახლის დედაბოძი 39  
 სასახლის ბანი 39  
 სასახლის დერეფანი 21  
 სატეზი 5  
 საფაფური 25, 39  
 საფლავე 15  
 საქურდელი 23  
 საჩხინავი 42  
 საძირკველი 9, 18, 19  
 საძირკველის ჩაყრა 18  
 საწარბელა 6  
 საწოლი 30  
 საწონი 8  
 საწყო 8  
 სახი 17  
 სახლ-გალავანი 17  
 სახლი 12, 13, 14, 18, 19, 21, 24, 27, 28,  
 29, 31, 32, 38, 41, 42
- სახლი ალიხისა 10  
 სახლი ბანი ბანითა 39  
 სახლი კლდისა 9  
 სახლი მორთული სართიანი 14  
 სახლი პალატი-ოდური 40  
 სახლის გარეთა 28  
 სახლის ზემო თავი 1  
 სახლის იხნები 41  
 სახლის კუთხე 28  
 სახლის სართული 28  
 სახლის საჩხინავი 42  
 სახლის საძირკველი 19  
 სახლის ყურე 28, 29  
 სახლის ყური 28  
 სახლის ყურია 28  
 სახლის შინა 28  
 სახლი ფანატი 43  
 სახლი ძელისა 11, 39  
 სახლ-კარი 17  
 სახლ-სამყოფი 16  
 სახლი კვიტიკრისა 34  
 სახურავი 18, 19, 34, 39  
 სახურავი ბანიანი 34

სახურავე კუნტულიანი 34  
 სახურავე ლირსიანი 34  
 სახურავე ცადაქნილი 34  
 სვეტი 39, 47  
 სინა 14  
 სიბი 14,9  
 სოლი 7  
 სოხანე 20  
 სბილენძი 15  
 სრა 41  
 სტილი 8  
 შრდული 24  
 ურო 6,7  
 უსტა 4  
 ფანჩატი 9, 12, 34, 41, 43  
 ფანჯარა 10, 15, 25  
 ფარგალი 7  
 ფაცხა 17, 22, 34, 39, 41  
 ფაცხის სარჩხინავე 42  
 ფეხი 45  
 ფიცარი 11,19  
 ფიჩხი 12  
 ფიჭვი 12  
 ქახდარი 26  
 ქალაქის კარი 18  
 ქანდარა 25, 26, 27  
 ქარაფი 10  
 ქარვასლა 40, 41  
 ქარმა სრა 41  
 ქასრი 6  
 ქაჩალი 5  
 ქაცი 12, 32  
 ქვა 9, 10, 13  
 ქვა-ცხრილი 7  
 ქვა-წვრილი 10  
 ქვევითი 28  
 ქვეთა თვალი 27  
 ქვითკირი 13  
 ქვის სამტევევი კვერი 5  
 ქვიტკირი 11, 34  
 ქვითკირის გამავრება 13  
 ქვიშა 14  
 ქვიშანარვევი კირი 14  
 ქირბო 25, 26, 27  
 ქოითა 27  
 ქოითი 1, 28  
 ქოხი 11, 31, 34, 39, 41  
 ქოხის ბაკე 22

ღობე 32  
 ღობის ავლება 32  
 ღობის წნელით დაწენა 32  
 ღოჯე 42  
 ღოჯის თავი 43

ქვარი 12, 14, 19, 45  
 ყავარის გაზდა 12  
 ყვებური 37  
 ყვერფი 37  
 ყვერფე-ყვრა 37  
 ყორე 13, 32, 31  
 ყორის კარი 33  
 ყუნწი კარებისა 23  
 ყურე 28, 29  
 ყური 28  
 ყურია 28, 29

შალაშინი 6  
 შაჯენჯვა ქვისა 33  
 შენობა 1, 43  
 შეშა 12  
 შიმშა 7  
 შიგნით შიგანი 29  
 შინა 28,29  
 შინ და შინ 29  
 შუაბანი 35  
 შუმუტები 15

ჩაკიბული კიბე 12  
 ჩალა 12, 14, 19  
 ჩალდაყი 45  
 ჩალდაყის ხეცურა 45  
 ჩარდახზე დაჯდომა 44  
 ჩარდახი 12, 38, 43, 44, 45, 46  
 ჩარდახის ბოძი 45  
 ჩარდახის ფეხი 45  
 ჩარდახობა 38  
 ჩარქეი 7  
 ჩასავალი ჭიშკრისა 33  
 ჩაქუჩი 7  
 ჩხირი 12

ცადაქნილი სახურავე 33  
 ციხე 1, 2, 9, 10, 11, 13, 43  
 ციხის კოშკი 44  
 ციხის ჩარდახი 45  
 ცულ-აფთარი 6  
 ცული 6  
 ცხავი 7  
 ცხრაკლიტული სახლი 24

ძელი 9, 11, 23	ჭერბოს კარი 22
ძელის სახლი 11, 12	ჭირხლი ქვისა 5
ძელური 39	ჭიშკარი 33
ძელურის საფაფური 39	ჭიშკრის კარი 33
ძელური ქოხი 11	ჭიშკრის ჩასაველი 33
ძეძვი 12, 32	ჭიჭკარი 33
ძირი ციხისა 14	
	ხე 2, 11, 12
წალდი 6	ხევანი 12
წალკოტი ალაგურისა 9	ხელოსანი 2,5
წერაქვი 5	ხერხი 5,6
წვერი ბანისა 35	ხოხი ქვა 10
წინგარდა 28, 29	ხურვა 14
წინგართა 29, 30	ხურო 2,5
წიფელი 12	ხურო-დურგალი 2
წნელი 12, 32	ხუსტარა 6
წნული 9	
წნულის სახლი 19	წელი 1
წყდა 8	
	ჯარგვალა 34, 39, 41, 42
ჭერაი 20	ჯარგვალის ღოჯე 42
ჭერი 18, 19, 20	ჯარჯი 12
ჭერხო 27	ჯოხი 8





## შემოკლებათა განმარტება

1. შან.—ქართული ხალხური პოეზია, I, ხეცურული, თბილისი, 1931 წ. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით.
2. გაბ.—საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული I—II, 1923—1924 წ. თბილისი. ხეცურული მასალები პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით.
3. ჟმ.—ხალხური სიტყვიერება I, თბილისი 1937 წ. პ. ჟ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი, პროფ. ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით.
4. ძვ. საქ.—ძველი საქართველო ტ. I, II, III, IV, განყოფილება: ეთნოგრაფია, სახალხო სიტყვიერება. ექვთიმე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით გამოსცემული, თბილისი 1909—1915 წლები.
5. ჩიქ.—ქართული ხალხური ხელოვნება I, თბილისი, 1939 წელი, მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს რედაქციით.
6. სიხ.—საბავშვო ფოლკლორი, თბილისი, 1938 წ., ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს რედაქციით.
7. დღ.—გურული ფოლკლორი, ტ. I, თბილისი, 1937 წ., ალ. დ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციით.
8. გომ.—მოხვეური ლექსები, თბილისი, 1939 წ., ალ. გ ო მ ი ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით.

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.  
სარედაქციო-საგამომცემ. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი გ. ჩიჭინაძე

ტექნიკური რედაქტორი { თ. იოსელიანი  
კორექტორი

კონტრ. კორექტორი—ნ. ჯაფარიძე

შეკვ. 430, უფ. 17071, ტირ. 1000.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.12.50.  
ანაწილების ზომა 7×11, საბ. ფურც. 3,75  
სააღრიცხვო-საგამომცემ. ფურცელი 5.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,  
აკაკი წერეთლის ქუჩა, 3/5

ფასი 5 მან.

2575